ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 2023 №209 (9245) ფასი: 80 თეთრი

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 300-ზე მეტი პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილი ამოიღო და დანაშაულში 14 პირი ამხილა

გვ.4

გვ.5

საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურება მინიმუმ 1.330 ლარი გახდება

„გახარიამ ბევრი შეცდომა დაუშვა, ველარ გამოასწორებს!“

გვ.2

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობა ფაქტობრივად დაშლილია. ეს არ არის პარტიის მორიგ ჯერზე გაყოფა. ეს არის სასიკვდილო განაჩენი“

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალებს რა უნდოდათ ჭორვილაში, ქვებს ესროდნენ, აბა რას ეტყოდნენ, კარგი გოგო-ბიჭები ხართო?! სწორედ ასეთი ოპოზიცია უმყარებს პოზიციებს „ოცნებას“

„ოპოზიციიდან ვინ ჩადის ბრიუსელში და ამბობს: აჯობებს თუ არ მოგვცემენ სტატუსს?!“

გვ.3

„სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის ფიციც გატეხა“

პეტრე მამრაძე: „პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია თუ არა, სასამართლომ უნდა თქვას. ქვეყნისთვის კარგია თუ ცუდი, ეს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე არ არის“

„უკრაინის ომი ევროპაშია და მას ვერ დაივიწყებენ“

როგორი ვითარება იქმნება საქართველოს გარშემო უსაფრთხოების მხრივ?

გვ.4

გარემოს დაცვის სამინისტრო დავით ხიდაშელის კომპანიას უჩივის

გვ.3

გვ.4

ვაზისუბნის ერთ-ერთ კორპუსში ბუნებრივი აირი აფეთქდა

უძრავი ქონება ისევ ძვირდება — როგორ შეიცვალა ბინებისა და კერძო სახლების ფასი?

გვ.3

გვ.5

საქართველოში 1923 წელს 959 ეკლესია დაიხურა

სუპერლიგა და ისტორიული ფაქტები

გვ.7

ნანა შარიქაძე: „4-წლიანი პასუხისმგებლობა დასრულდა“

გვ.8

3 მარნეულში 25 წლის მამაკაცს დენმა დაარტყა და გარდაიცვალა

4 რაში სჭირდება რუსეთს ავდეევკა?

5 რა არის კლინიკური სიკვდილი

6 სექს-თოჯინის გამო გზა 30 საათით იყო გადაკეტილი

1993230720223

„ოპოზიციიდან ვინ ჩადის ბრიუსელში და აგბობს აჯობებს თუ არ მოგვცემენ სტატუსს?!“

მამუკა გამყრელიძე: „ნაციონალებს რა უნდოდათ ჭორვილაში, ქვებს ესროდნენ, აბა რას ეტყოდნენ, კარგი გოგო-ბიჭები ხართო?! სწორედ ასეთი ოპოზიცია უმყარებს პოზიციებს „ოცნებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.



– ბატონო მამუკა, ქვეყანა კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია. რამდენიმე დღით ბრიუსელში ბრძანდებოდით. რა განწყობებია, რა მოლოდინი გაქვთ, როგორია თქვენი შეფასებები?

– დავიწყოთ იქიდან, რომ შეხვედრები გვქონდა ძალიან მაღალ დონეზე. ევროკომისიაში შევხვდით საერთაშორისო დეპარტამენტს, იმ განყოფილებას, რომელიც საქართველოზეა მომაგრებული. შევხვდით იმ ადამიანებს, ვინც პირადადაა ჩართული ამ საკითხში. შეხვედრა გვქონდა ნატოსა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში. ასევე შევხვდით ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს, რომლებსაც მუდამ დაზუსტებული ინფორმაცია აქვთ.

– და როგორია ეს ინფორმაციები?

– ჯერჯერობით პირდაპირ არავინ არაფერს ამბობს. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილება საბოლოო მომენტში იქნება მიღებული კენჭისყრის დროს. ევროკომისია ამზადებს დასკვნას, ეს დასკვნა გამოქვეყნდება ნოემბრის პირველ ნახევარში.

– კულუარული ინფორმაციები როგორია? როგორი განწყობა შეგექმნათ?

– შემიძლია ვთქვა, უფრო მეტი შანსი, რომ მოგვცენ, ვიდრე არ მოგვცენ. თუმცა აუცილებლად იქნება ასახული დასკვნაში, რომ საქართველომ არასათანადოდ შეასრულა რეკომენდაციები.

– გარკვეული დათქმებით მივიღებთ სტატუსს?

– ჩვენ ასე აგვიხსნეს იქ, რომ თავისთავად სტატუსის მიღება, უკვე ნიშნავს პირობების მიღებას. შემდეგ იწყება მუშაობა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. ამისთვის კი მრავალი პირობაა შესასრულებელი. სტატუსის მიღება ნიშნავს პირობების მიღებას. თუმცა, ჯერ რა რეკომენდაციებიც მოგვცეს, იმას არ ვასრულებთ და რაზე უნდა ვისაუბროთ.

– დიახ, ვისმენთ შეფასებებს, რომ არაფერი სრულდება და სწორედ ამ პერიოდს დაუმთხვიეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურაც, რა რეაქციები ჰქონდათ ევროკავშირში ამ ყველაფერზე?

– იმპიჩმენტი რომ ჩავარდა, ამან ძალიან დადებითად იმოქმედა. დასკვნაშიც აუცილებლად იქნება ასახული, რომ საქართველოს მთავრობა არასაკმარისად დგამს ნაბიჯებს იმისთვის, რომ სტატუსი მიღებული იქნას. გადაწყვეტილება ალბათ პოლიტიკური იქნება. ჩვენ ბევრი კამათი და მტკიცება მოგვიწია, რომ საქართველოსთვის ეს არის სასიცოცხლოდ აუცილებელი იმ უმძიმეს ბრძოლაში, რა ბრძოლაშიც ახლა ჩვენ რეალურად ვიმყოფებით. არ არის აუცილებელი, რომ ბომბს გვესროდნენ. უკრაინა თუ ომშია, ჩვენც ომში ვართ. მართალია აქ ხალხი არ იხოცება, მაგრამ რეალურად ჩვენ სერიოზული პრესინგის ქვეშ ვართ რუსეთის მხრიდან.

– კანდიდატის სტატუსს ველოდებით და „ქართული ოცნება“ კანონებს ამკაცრებს, „კარვების“ კანონი, მაუწყებლობის შესახებ კანონი, თანაც ამბობენ, რომ ეს კანონები დემოკრატიულია და ამას ჩვენგან ევროკავშირი ითხოვსო.

– ასე იქცევა „ოცნება“! ვენეციის კომისიის სახელითაც მიიღეს რაღაც კანონი და მერე ვნახეთ, ვენეციის კომისია აგზავნის წერილს, ჩვენ მსგავსი არაფერი გვითქვამსო. ცარიელი სიტყვებია, რაზეც მთავრობა საუბრობს. ეს არის მხოლოდ შიდა მოხმარების საგანი. მის პირად ამომრჩეველზე გათვლილი, რომ აი, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ. რა თქმა უნდა, ბოლომდე არც მოლდოვას და უკრაინას შეუსრულებია ყველა პუნქტი, მაგრამ მეტი აქტიურობაა საჭირო. სამწუხაროდ, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ოპოზიციიდან ვიღაც-ვიღაცები ჩადიან ბრიუსელში და იქ ლაპარაკობენ, რომ აჯობებს თუ არ მოგვცემენ სტატუსს.

– ბატონო მამუკა, ამაზე ადრეც იყო საუბარი, რომ ოპოზიცია ჩადიოდა ბრიუსელში და კულუარებში შეხვედრებს მართავდა, რათა არ მოეცათ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი. ახლა ამას თქვენც ადასტურებთ. რატომ იქცევიან ასე? ჰგონიათ, რომ სტატუსის მიღების შემთხვევაში ხელისუფლება გაძლიერდება?

– როგორც ჩანს, ასეა და მოდით, ასე ვთქვათ, რომ ირიბი მინიშნებითა მივიღე ეს ინფორმაციები. იმით, რომ ჩვენ სტატუსს მოგვცემენ, ხელისუფლება ქულებს ჩაიწერს და ჩაიწეროს, კაცო! ღმერთმა მოახმაროთ ის ქულები, მთავარია მივიღოთ სტატუსი.

– ვინ აკეთებს ამას? რადიკალური ოპოზიცია?

– ასე კონკრეტულად ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ არიან ოპოზიციაში პერსონები, რომლებსაც ასეთი მიდგომები აქვთ. სხვათა შოროს, მე საქართველოშიც მოვისმინე ასეთი მიდგომები.

– როგორი?

– ჯობია, რომ არ მივიღოთ სტატუსი, ამით „ქართული ოცნება“ გაძლიერდებაო. ქვეყნისთვის კარგი გააკეთონ და რა მნიშვნელობა აქვს, ამას ვინ გააკეთებს. დიდად არც ეს ხელისუფლებაა მოწადინებული, რომ რაღაც კარგი გააკეთოს, მაგრამ თუ თავისთავად გამოვა ეს და ევროკავშირი ამაში დაგვეხმარება, რატომაც არა?!

– პრეზიდენტი ზურაბიშვილი ვახსენეთ საუბრისას და იცით, რომ ჩავარდა მისი იმპიჩმენტი პარლამენტში. რა დადგმა და წარმოდგენა იყო ეს? თუკი „ოცნებას“ არ ჰქონდა გარანტირებული ხმები, მაშინ რატომ წამოიწყო ეს პროცესი?

– ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ მას შეუძლია იმის გაკეთება, რასაც მოინდომებს, მაგრამ შემდეგ არ მიიყვანა ბოლომდე, რადგან არ უნდოდა კიდევ ერთი დამატებითი ფიგურა ოპოზიციაში. მართლა შეეძლოთ ოპოზიციიდან ხმების მიღება, უბრალოდ არ უნდოდათ. კიდევ დამატებით ფიგურას მიიღებდნენ ოპოზიციაში. ახლა სალომე ხელფეხშეკრულია, ზის თავის სასახლეში და ეგ არის მაგის მოვალეობა. თუ დაიწყებს სადმე სიარულს უკითხავად, ამაზე შესაძლოა, სისხლის სამართლის მუხლი წარუდგინონ.

– ძალიან ბევრს საუბრობენ პრეზიდენტ ზურაბიშვილის და გიორგი გახარიას ალიანსზე. ამაზე რას იტყვით?

– რომელ სამომავლო ალიანსზეა საუბარი. სალომე პოლიტიკაში ვეღარ წავა. მაშინ ახლავე უნდა გადადგეს და წავიდეს პოლიტიკაში.

– ამას გამორიცხავთ?

– 90%-ით გამოვრიცხავ. რას მიიღებს ამით სალომე ზურაბიშვილი თუ წავა ოპოზიციაში?! ძალიან საეჭვო პერსპექტივაა, რომ ის პოლიტიკური ფიგურა გახდეს. მის მიმართ განწყობა საქართველოში არაერთმნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ოპოზიციაში. ახლა უკვე აღარც ხელისუფლების მომხრეებს მოსწონთ. შესაბამისად, ეს ამად არ ღირს. სალომეს შეულახეს იმიჯი და დატოვეს თანამდებობაზე. ამოწურავს ვადას და წავა ალბათ უცხოეთში. დასავლეთში მიღებული ფიგურა იქნება. ყოფილი პრეზიდენტები იქ ძალიან უყვართ. არ მესმის, რაში უნდა სჭირდებოდეს აქ ცეცხლთან თამაში?! არც არაფერში.

– რას იტყვით ნაციონალურ მოძრაობაზე? ნიკა მელია აცხადებს, მე ვერ დავრჩები ისეთ პარტიაში, რომელსაც ვანო მერაბიშვილი და კეზერაშვილი მართავსო. ანუ მოდის მელია ნაცმოძრაობიდან?

– ნიკა მელია რას აპირებს, ნამდვილად არ ვიცი. ამ პარტიის მდგომარეობა კი ძალიან სავალალოდ გამოიყურება. თუ მთავარი ოპოზიციური პარტია ჰქვია იმ სტრუქტურას, რაც დღეს არსებობს ნაციონალური მოძრაობის სახით, მაშინ დანარჩენი ოპოზიცია რადა ყოფილა? აღარც არაფერი. დაშლილები არიან, ჭამენ ერთმანეთს და არიან ერთმანეთის განქიქებაში. რა მხარდაჭერაც აქვთ, ესეც მიხეილ სააკაშვილის ავტორიტეტის ნარჩენებია. ან ჭორვილაში ჩასვლა რა იყო, სრულიად გაუგებარია მათი ნაბიჯები. ამას ძალით აკეთებენ და იზიანებენ იმიჯს? სახტად დავრჩი, ეს რომ გავიგე. სად მიდიხარ, ან რისთვის მიდიხარ?! ჭორვილაში ღმერთის სახით ჰყავთ ივანიშვილი და, რა თქმა უნდა, ქვებს ესროდნენ, აბა რას ეტყოდნენ, კარგი გოგო-ბიჭები ხართო?! სწორედ ასეთი ოპოზიცია უმყარებს პოზიციებს „ოცნებას“. იმდენად ცუდი იმიჯი აქვთ, რომ ხალხს რეაგირება აღარაფერზე აქვთ, ქუჩაში არავინ გამოდის. უკეთეს ალტერნატივას ვერ ხედავენ. ვერ ხედავენ ძალას, ვინ შეიძლება მათ ნაცვლად მოვიდეს. ეს კი ამ ხელისუფლებას აძლიერებს.

„გახარიამ ბევრი შეცდომა დაუშვა, ვეღარ გამოასწორებს!“

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობა ფაქტობრივად დაშლილია. ეს არ არის პარტიის მორიგ ჯერზე გაყოფა. ეს არის სასიკვდილო განაჩენი“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში რამდენად არის მოსალოდნელი ბიძინა ივანიშვილის ღიად ჩართვა „ქართული ოცნების“ ან სხვა პარტიის სასარგებლოდ?

– მეეჭვება ბიძინა ივანიშვილი გამოვიდეს და პოლიტიკაში ჩაერთოს. დღეის მონაცემებით, პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნების საჭიროება არ დგას. ადრე, როდესაც ის დაბრუნდა პოლიტიკაში, განმარტა კიდეც, რატომ გააკეთა ეს, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი. თქვა, რომ პარტიას გაუჭირდა და დაბრუნების საჭიროება იგრძნო.

„ქართული ოცნება“ მოცემულ მომენტში ძლიერ სტრუქტურად ჩამოყალიბდა. არ ჰყავს ძლიერი კონკურენტი. შეიძლება ითქვას, ჯერ პოლიტიკურ ბაზარზე უკონკურენტოა. ამიტომ, არ სჭირდება თუნდაც ბიძინა ივანიშვილის დახმარება. თუ ეს პოლიტიკური მოცემულობა შეიცვლება, მერე ვერ გეტყვით, რა შეიძლება დასჭირდეთ. თუმცა, ცხადია, არ გამოვრიცხავ, საზეიმო მიღებებზე გამოჩნდეს და გარკვეული აზრიც კი დააფიქსიროს ამა თუ იმ საკითხზე. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება საჯარო პოლიტიკურ სცენაზე გამოსვლა. ეს დღეს „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება.

– გიორგი გახარიამ მოულოდნელად მიმართვა გაავრცელა. ის ამბობს, რომ მზად არის არჩევნებში ერთნაირად დაამარცხოს „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც. შეიძლება ე.წ. მესამე ძალად ჩამოყალიბდეს?

– სიმართლე გითხრათ, როდესაც ის პრემიერის პოსტიდან გადადგა და ოპოზიციაში წავიდა, სწორედ ასე ვუყურებდი. ასე აღვიქვამდი მის როლს ოპოზიციურ ფლანგზე, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩემდა გასაკვირად, გახარიამ არჩია ის პოზიცია, საიდანაც დიდი პოლიტიკა არ კეთდება. არადა, ეს მას ძალიან კარგად უნდა სცოდნოდა.

– რას გულისხმობთ?

– კაცი დაიმალა. არსად ჩანდა.

– მის ამ პოზიციასთან დაკავშირებით კითხვები ჩნდებოდა. როგორ ფიქრობთ, რატომ არ იყო უფრო აქტიური? შეიძლება წინასაარჩევნოდ პოზიცია შეცვალოს და გააქტიურდეს?

– უკვე არაფერი უშველის. ბევრი შეცდომა დაუშვა. თან ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. მე არ მგონია, რომ გახარია ე.წ. მესამე ძალად ჩამოყალიბდეს. გახარიას მაღალი რეიტინგი ჰქონდა მაშინ, როდესაც პრემიერის პოსტიდან გადადგა, მაგრამ დღეს მისი რეიტინგი დაბალია. რასაც ამბობდა „ოცნება“, რომ ის ნაციონალების კაცია, იმუშავა. ამ რეიტინგით, არა მგონია, რომ შუაშისტი, ძალიან დიდი პროცენტული ამომრჩევლის მიმხრობა შეძლოს. ამისთვის მას სულ სხვა სამუშაო უნდა გაეწია. კი არ უნდა დამალულიყო, კარდაკარ უნდა ევლო, ბრიფინგები უნდა ჩაეტარებინა და თითოეულ მოქალაქემდე უნდა მიეტანა თავისი სათქმელი. ასე არ კეთდება პოლიტიკა. დაბნეული პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს. რა არის ამის რეალური მიზეზი, ვერ გეტყვით. თითქოს, ნაძალადევი პოლიტიკური ფიგურის შთაბეჭდილებას ტოვებს. როდესაც გულით და სულით არ ხარ საქმეში, მით უმეტეს, პოლიტიკაში არაფერი გამოგივა.



– რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციას. რამდენად არის ოპოზიციურ ფლანგზე არაორდინარული ნაბიჯები, გარკვეული გადაჯგუფება მოსალოდნელი?

– არაფერი გამორიცხული არ არის. თუმცა, როგორი სახე შეიძლება მიიღოს ამ ყველაფერმა, დღეს ამაზე საუბარი გამიჭირდება. ოპოზიცია ძალიან სუსტია, დაქსაქსულია. ასეთი ულიმლამო, შეიძლება ითქვას, ოპოზიცია არასდროს არ ყოფილა. ნაციონალური მოძრაობა ფაქტობრივად დაშლილია. ეს არ არის პარტიის მორიგ ჯერზე გაყოფა. ეს არის სასიკვდილო განაჩენი ფაქტიურად. ადრე ბევრად უფრო მიმზიდველი ფიგურები იყვნენ. ამ ფიგურებს თავისი ერთგული ამომრჩეველი ჰყავდა წლების მანძილზე. დღეს არც ეს ფიგურები ჩანან და არც ეს ამომრჩეველი.

ზოგადად ოპოზიციამ ამომრჩევლისთვის აქამდე მიმზიდველი ვერაფერი მოიფიქრა. ვერაფერ სიახლეს ვერ სთავაზობენ ხალხს. ოპოზიციას არა აქვს დღის წესრიგი, რომელიც იქნებოდა სამუშაო გეგმა, რომელსაც მიჰყვებოდა. ამორფულები არიან. ამიტომაც არის ყველა სოციოლოგიური კვლევის მიხედვით ამომრჩევლის ძალიან დიდი რაოდენობა, დაახლოებით 60 პროცენტზე მეტი, რომელიც სიახლის მოლოდინშია, რომელსაც არსებული არ მოსწონს, არ აკმაყოფილებს და ახალს ეძებს. თუმცა, მსოფლიოში გლობალური პროცესები ისე ვითარდება, იმდენი ცხელი კერა გაჩნდა, რომ არა მგონია, ამომრჩეველი გაურკვეველი და გაუგებარი სიახლით დაინტერესდეს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – გლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის ფიციც გატეხა“

პეტრე მამრაძე: „პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია თუ არა, სასამართლომ უნდა თქვას. ქვეყნისთვის კარგია თუ ცუდი, ეს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე არ არის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.



– ბატონო პეტრე, პრეზიდენტის საიმპიჩმენტო პროცესის შედეგად რა სურათი შეიქმნა და მომავალში პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

– ჩემთვის რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი არ ყოფილა, რადგან სალომე ზურაბიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრობის დროიდან ვიცნობ და ჩემთვის ახლა რაიმე სიურპრიზი არ ყოფილა.

შედეგები ასეთია: როდესაც მოაზროვნე ადამიანები პროცესებს აკვირდებიან, ხედავენ, რომ პრეზიდენტი თავის ფიცს არ ასრულებს. ის, რაც პრეზიდენტის ფიციითაა განსაზღვრული, მან არც ერთხელ არ შეასრულა. ფიცის გატეხვა საკმაოდ მძიმე გადაცდენაა.

– ფიცის გატეხვა რაში გამოიხატა?

– როდესაც საქართველოს წინააღმდეგ ცილისწამების ჭავლი, ნიაღვარი წამოვიდა, საქართველოს პრეზიდენტს ფიცი ავალდებულებდა, ეთქვა სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. არ ვამბობ, რომ ქვეყნის დასაცავად რამე შეელამაზებინა. არა, უბრალოდ, სიმართლე ეთქვა.

– რა სიმართლე უნდა ეთქვა?

– ეთქვა, მაგალითად, რომ სააკაშვილის შიმშილობა სრული აფიორა, ტყუილი იყო. ისეთ პირობებში იმყოფებოდა, რომ ჩიტის რძე არ აკლდა. ახლაც ასეთ პირობებშია. დედამისი დღეში ორჯერ მიდიოდა. საჭმელი დედამისს მიაქვს და ა.შ.

როდესაც სი ენ ენ-ზე 12-წუთიანი, ტოტალურ ტყუილზე აგებული, გადაცემა გავიდა, საჯაროდ, მთელი ევროპის გასაგონად ეთქვა: მე პრეზიდენტი ვარ და გარანტი ვარ იმისა, რომ ამ კაცს არავინ აწამებს. არავინ უქმნის რაიმე პრობლემას, თვითდაზიანებას ეწევაო.

ასევე, მას ევალებოდა ეთქვა, რომ საქართველოს გზა ევროპისაკენ. სწორედ სააკაშვილის რეჟიმის დროს მთლიანად ჩაიკეტა, ჩაიხერგა, რაც დოკუმენტურადაა ასახული.

– კერძოდ?

– საქართველოს, საერთოდ, აღარ სთავაზობდნენ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ტოტალურად კორუმპირებული უკრაინა საქართველოზე წინ დააყენეს, იანუკოვიჩი ხელს აწერდა, მაგრამ თვითონ არ მოაწერა. ჩვენზე ლაპარაკიც არ იყო. აღარც ნატოზეა ლაპარაკი სააკაშვილის მიერ ჩადენილი ავანტიურის შემდეგ.

პროცესები მხოლოდ „ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაიძრა. ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, შენგენის ვიზები მივიღეთ. ეს სალომეს ევროპის გასაგონად უნდა ეთქვა.

გარდა ამისა, საქართველოს 12 რეკომენდაციის შესრულება რომ მოსთხოვეს, დიდი უსამართლობა და აბსურდია. იქ რომ წერია, თურმე მასმედია თავისუფალი არ არის და რეფორმებია ჩასატარებელი, ესეც მტკნარი სიცრუეა. აგერ გაეცანით რეიტინგებს, რომელსაც საქართველო „ოცნების“ მოსვლის შემდეგ, წლების განმავლობაში იღებს.

ნაცვლად სიმართლის თქმისა, ჩვენი პრეზიდენტი ცილისწამების ნიაღვარს შეუერთდა. აცხადებდა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება თურმე მთავრობას არ უნდა, ხალხს კი უნდა. კანდიდატის სტატუსი თურმე მთავრობას არ ეკუთვნის, ხალხს კი ეკუთვნის.

სალომე ზურაბიშვილის ვიზიტების შემდეგაც, საქართველოზე კარგი არაფერი გაგვიგია. ბალტიის ქვეყნებში რომ იყო, მგონი, დაითანხმა კიდეც, საქართველოს სანქციები უნდა დაუწესოთო. პაპუაშვილი სადაც ჩადიოდა, პარლამენტის თავმჯდომარეები აცხადებდნენ, კანდიდატის სტატუსის მონიჭებას მხარს ვუჭერთო.

– სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანად მიგაჩნიათ?

– ყველაფერი იმით დაგვირგვინდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სალომე კონსტიტუციის დამრღვევად ცნო. ჩემთვის ეს ცხადი იყო, მაგრამ მე ორ გამოცდილ იურისტს ვკითხე (ერთი სოლიდური სტაჟით, სწორედ დასავლეთ ევროპაში ინგლისურად მუშაობისა, სხვათა შორის, არც ერთი არ არის „ოცნებასთან“ დაახლოებული, ნეიტრალურები არიან). ორივემ მითხრა: აქ საკამათო არაფერია, კონსტიტუციის დარღვევა სახეზეაო.

– კობახიძე ამბობს, პირველი კურსის კაზუსია და გაოცებული ვარ, რატომ ვერ ხსნიანო. ვერ ხსნიან თუ არ ხსნიან?

– პრეზიდენტის წარმომადგენლები იმდენად სუსტად და აბდაუბდად გამოდიოდნენ, თეზისებსა და არგუმენტებში თავის თავს ეწინააღმდეგებოდნენ. ხშირად მოსმენაც კი ძნელი იყო. ყველაფრის აღრევა ხდებოდა.

ამბობდნენ, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს დარტყმა მიაყენეთო. ეს რა არის? ეს რა ჩაწყობის სქემაა? ასე არ შეიძლება, რა უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს, მიზანშეწონილობაზე ილაპარაკოს. ამის უფლება არ აქვს.

საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა თქვას, კონსტიტუცია დაარღვია თუ არა. პრეზიდენტმა კონსტიტუცია რომ დაარღვიოს და ამით ქვეყანა გადაარჩინოს, ეს შეიძლება პარლამენტმა პოლიტიკურად შეაფასოს, პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია, მაგრამ ქვეყანა გადაარჩინაო. საკონსტიტუციო სასამართლოს კი ამის თქმის უფლება არ აქვს. სასამართლომ უნდა თქვას, დიახ, დაარღვიაო. ეს ქვეყნისთვის კარგია თუ ცუდი, მისი საქმე არ არის.

– თქვენ თვით, სალომე ზურაბიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრობის დროიდან ვიცნობდიო. იმ დროიდან სალომე ზურაბიშვილზე რა შეხედულება დაგრჩათ, სალომე ზურაბიშვილი როგორი პიროვნება და პოლიტიკოსია?

– გელა ჩარკვიანმაც ისაუბრა, სხვა ელჩებმაც თქვეს, რომ სალომე ზურაბიშვილის მინისტრობის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროს სრული პარალიზება მოხდა.

– როგორ?

– სალომეს კომუნიკაცია მოადგილეებთანაც კი არ ჰქონდა. ამის შემდეგ რიგი საკითხების გაეროში წარდგენა დაგვიანდა.

– კომუნიკაცია თუ არ ჰქონდა, აბა, როგორ მართავდა და თავის მოვალეობას როგორ ასრულებდა? მოადგილეს და ელჩებს დავალება ხომ უნდა მისცე?

– საქმეც ეს არის. შეწუხებული ელჩები ამბობდნენ, მინისტრს ვერ ვხვდებით, მოადგილეებს მივმართავთ, ისინიც ვერ ხვდებიან. რიგითი თანამშრომელი გვღებულობს, მაგრამ მერე საკითხი არ წყდება.

– ბატონო პეტრე, ადამიანს, რომელსაც მაღალი დონის ფრანგული დიპლომატიის სკოლა აქვს გავლილი, თვითონაც წარმატებული დიპლომატია და ურთიერთობების დამყარება მისი სპეციალობაა, თანამშრომლებთან კონტაქტი არ უყვარს?

– მე ვიცი, მისი მინისტრად დანიშვნის შემდეგ რა მოხდა. მოწმე ვარ, რადგან ელჩები მომმართავდნენ მე, როგორც პრეზიდენტის აპარატის უფროსს, რომ ეს პრეზიდენტმა და პრემიერმა უნდა იცოდესო. შემდეგ სალომე სააკაშვილმა გაათავისუფლა.

– ისე, მაშინ კარგი ფრაზა თქვა, ქაჯები მიდიან, კი არ მოდიანო. საზოგადოებამ ამ ფრაზით გული მოიფხანა.

– ეს სხვა საქმეა, მაგრამ მაშინ თვითონ კი არ გადადგა, გაათავისუფლეს. თვითონ რომ გადამდგარიყო და ეთქვა, რაღაც პოზიციას არ ვეთანხმებიო, სხვა იყო.

გვახსოვს რუსთაველზე საკნების აქცია და ამაში სალომეს მონაწილეობა. ერთი შეწუხებული ადამიანი ამბობდა, ეტყობა, უნდათ დაგვიმტკიცონ, რომ ამათ ისევ სააკაშვილი სჯობსო. თვითონ სალომემაც თქვა, რომ ჩვენ ამ კონტრპროდუქციული აქციით, სააკაშვილს კიდევ 2-3 წელი ვაჩერებთ თანამდებობაზეო.

– ახლა სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის ლიდერი გახდება?

– არა, არავითარ შემთხვევაში. თავიდან სალომეს პირველ მიტინგს სააკაშვილის რეჟიმის ყველა უკმაყოფილო ლიდერი ესწრებოდა, მაგრამ ყველა შემოეცალა. პარტია შექმნა, რომელმაც, საერთოდ, არ გაამართლა და ნულამდე დავიდა. საქართველოში მას არ აქვს არავითარი, მეტ-ნაკლებად, მასობრივი მხარდაჭერა და არავითარ სიმპათიას არ იმსახურებს.

გვახსოვს, როგორ ჩავარდა არჩევნების პირველ ტურში ვაშაძესთან და „ოცნებამ“ როგორი ძალისხმევა გასწია. ალოგიკურიც კი იყო, როცა მეორე ტურის წინ, ზურაბიშვილს ბილბორდებზე კობახიძე და ივანიშვილი ჩაენაცვლნენ.

ამდენად, სალომე საქართველოში ვერანაირი ლიდერი და პოლიტიკური ფიგურა ვერ იქნება და არც არის, გამორიცხულია. წარმოიდგინეთ, დღეს თანამდებობა რომ არ ჰქონდეს, ხომ არაფერი იქნება. არავითარი პრობლემა, არავითარი რეზონანსი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ეკონომიკა

გარემოს დაცვის სამინისტრომ დავით ხიდაშელის კომპანიას უჩივის

სანადირო ლიცენზია ძირითადად უფრო პასუხისმგებლობებს და ვალდებულებებს ითვალისწინებს ასეთი ინვესტორის მხრიდან, რაც არ არის მარტივი, დიდი ინვესტიციები უნდა განხორციელებულიყო. სამწუხაროდ, როგორც გარემოს დაცვის მინისტრმა განაცხადა, ეს ვალდებულებები არ არის შესრულებული რაჭის ტყის შემთხვევაში, ამიტომ ისინი იწყებენ სამართლებრივ პროცესს, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა, რითაც დავით ხიდაშელის კომპანიის მიერ მოპოვებული, რაჭის ტყეში სამონადირეო ლიცენზიის შესაძლო გაუქმების საკითხის შეფასებისას განაცხადა.

მისი თქმით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ტყის გადაცემა და გასხვისება არ ხდება, არამედ საუბარია სამონადირეო ლიცენზიის გადაცემაზე ინვესტორისთვის. მან ამასთან განმარტა, რომ მთავრობა ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში იღებს არა პოლიტიკურ მსაზღვრელებს, არამედ საკანონმდებლო ჩარჩოსა და ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს.

– არ არსებობს, რომ შეიძლება იყოს პოლიტიკური ნიშნით ჩვენი მხრიდან გადაწყვეტილებები. მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს კანონმდებლობის შესაბამისად და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. რაც შეეხება რაჭის ლიცენზიასთან დაკავშირებულ საკითხს, კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო, რომ ტყის გადაცემა და ტყის გასხვისება არ ხდება, როცა საუბარია სანადირო ლიცენზიაზე. ეს, სამწუხაროდ, საზოგადოებას არასწორად მიეწოდება ხოლმე. სანადირო ლიცენზია ნიშნავს ნადირობის, როგორც ბუნებრივი რესურსის ლიცენზიას ანუ უფლების გადაცემას კონკრეტული ინვესტორისთვის კონკრეტული ვალდებულებებისა და პირობების შესასრულებლად, რომლებიც აუქციონის გზით ხდება ხოლმე. ასე რომ, არავის რაჭის ტყე არავისთვის არ მიუცია, არც მისცემდა და ამის ლეგალური საფუძველიც არ არსებობს, ქვეყანაში კანონმდებლობა ამას არც განსაზღვრავს და ვერც ერთი მთავრობა ვერ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას. ეს იყო სტანდარტული პროცესი, როდესაც საქართველოში სანადირო საქმის განვითარებისთვის ინვესტორს შეიძლება მიეცეს კონკრეტულ არეალზე სანადირო საქმის განვითარების უფლება. ის ძირითადად უფრო პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს ითვალისწინებს ასეთი ინვესტორის მხრიდან, რაც არ არის მარტივი, დიდი ინვესტიციები უნდა განხორციელებულიყო. სამწუხაროდ, როგორც გარემოს დაცვის მინისტრმა განაცხადა, ეს ვალდებულებები არ არის შესრულებული, ამიტომ ისინი იწყებენ სამართლებრივ პროცესს, რაც ასევე ბუნებრივი პროცესია, ასეთი ბევრ სანადირო მეურნეობასთან ჰქონია გარემოს დაცვის სამინისტროს, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

რაც შეეხება „რიყის დოქებთან“ დაკავშირებულ საინვესტიციო ვალდებულებებს, როგორც მინისტრმა აღნიშნა, მათ შესასრულებლად დრო ჯერ კიდევ არის, თუმცა შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკრეტული სანქციები ამოქმედდება.

– როგორც კი დადგება ვალდებულებები, აქ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ინვესტორი, ნებისმიერ შემთხვევაში მას მოეთხოვება იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც სახელმწიფოსთან აქვს და, შესაბამისად, ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში, ჩვენ მოგვიწევს იმ სანქციების ამოქმედება და გამოყენება, რომლებიც გვაქვს. ჯერჯერობით ვადა არის, მოგეხსენებათ, ეს ძალიან ღია პროცესი იყო, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურება მინიმუმ 1.330 ლარი გახდება

საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურებაზე 282 მლნ ლარით მეტი დაიხარჯება – დასაქმებულთა ანაზღაურება მინიმუმ 1.330 ლარი გახდება. ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ანალიზშია აღნიშნული.

– ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც საჯარო სექტორის შრომის ანაზღაურებას და საქონლის და მომსახურების შესყიდვას მოიცავს, 367 მლნ ლარით იზრდება. შრომის ანაზღაურებაზე 2.5 მლრდ ლარი (ზრდა 282 მლნ) დაიხარჯება, ხოლო საქონლის და მომსახურების შესყიდვაზე 2.2 მლრდ ლარი (ზრდა 85 მლნ). საჯარო სექტორში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო 10%-ით იზრდება და თვეში მინიმუმ 1.330 ლარი იქნება.

საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 303-ით იზრდება, რაც ასევე განაპირობებს შრომის ანაზღაურებაზე გამოყოფილი თანხის მატებას. ყველაზე მეტად შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება – 130-ით. 86 ადამიანი იქნება დასაქმებული 2023 წელს შექმნილ ახალ სსიპ-ში „ანტიკორუფციულ ბიუროში“. 49-ით იზრდება სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში“ დასაქმებულთა რაოდენობა, 28-ით – ეკონომიკის სამინისტროში დასაქმებულთა რაოდენობა.

უძრავი ქონება ისევ ძვირდება – როგორ შეიცვალა ბინებისა და კერძო სახლების ფასი?

2023 წლის მესამე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი (RPPI) 5.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ინდექსის წლიურმა ზრდამ 15.6 პროცენტი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, 2020 წლის საშუალოსთან შედარებით, ინდექსი 35.9 პროცენტით არის გაზრდილი. RPPI-ის დაფარვა შემოიფარგლება თბილისით და მოიცავს მხოლოდ ახალი საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარს, როგორც მრავალსართულიანი სახლების (ბინების), ისე კერძო სახლების სეგმენტებს.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წლის მესამე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფასების ზრდა დაფიქსირდა როგორც საცხოვრებელი ბინების სეგმენტში (5.2 პროცენტი), ისე კერძო სახლების სეგმენტში (6.2 პროცენტი). 2022 წლის მესამე კვარტალთან შედარებით კი, ფასების ზრდა დაფიქსირდა ორივე სეგმენტში – ბინებზე 15.7 პროცენტით, ხოლო კერძო სახლებზე 13.4 პროცენტით.

მარნეულში 25 წლის მამაკაცს დენმა დაარტყა და გარდაიცვალა

გამოცემა „ინფო რუსთავის“ ცნობით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაქალოში დენის დარტყმას 25 წლის ბიჭი ემსხვერპლა.

ადგილობრივი მედია წერს, რომ ახალგაზრდა კაცი შემთხვევის დროს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

ამ დროისთვის დეტალები უცნობია.



როგორი ვითარება იქმნება საქართველოს გარშემო უსაფრთხოების მხრივ?

„უკრაინის ომი ევროპაშია და მას ვერ დაივიწყებენ“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს უსაფრთხოებისთვის საყურადღებოა როგორც უკრაინაში მიმდინარე ომი, ისე ახლო აღმოსავლეთში განვითარებული საომარი მოქმედებები.

რა გავლენა აქვთ ამ ომებს ერთმანეთზე? რა დაბრკოლებები ხვდება უკრაინას ფინანსური დახმარების მხრივ აშშ-ის შიდა პრობლემების გამო? მოსალოდნელია თუ არა ცეცხლის შეწყვეტა უკრაინაში? ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინელი პოლიტოლოგი **ვლადიმირ ფესენკო.**

– ჩვენს პრობლემას დაემატა ომი ისრაელსა და პალესტინელებს შორის. მსოფლიოს ყურადღება ახლა იმ მხარესაა გადატანილი. რუსეთი სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტს და აცხადებს, რომ უკრაინა შეიძლება მხარდაჭერის გარეშე დარჩეს. როგორია სიტუაცია?

– ნებისმიერი ომი, რომელიც დიდი ხანი გაგრძელდება, ჩვეულებრივ ამბავად იქცევა ხოლმე და პირველი ზოლიდან მეორესა და მესამეზე გადადის. ყურადღება ექცევა მხოლოდ იმ ტრაგედიებს, სადაც დიდი მსხვერპლია.

ჩვენი ომი ევროპაში მიმდინარეობს და ვერ დაივიწყებენ, ამ ომს ვერ გაემიჯნებიან. საინფორმაციო ყურადღების გადატანა ისრაელის სიტუაციაზე არ ნიშნავს, რომ მსოფლიოს დაავიწყდება ომი უკრაინის წინააღმდეგ. მით უმეტეს, ეს არ მოასწავებს იმას, რომ ჩვენი მოკავშირეები შეგვიწყვეტენ დახმარებას. ჩვენთვის მთავარია, რომ ჩვენი ომი პოლიტიკურად არ მიივიწყონ.

საინფორმაციო სიტუაციაში ცვლილებებისა და ზოგიერთი ქვეყნის (აშშ) პოლიტიკური კონიუნქტურაში მერყეობის გამო, ტაქტიკის შეცვლა გვმართებს. შარშან მოვითხოვდით (დახმარებას) და ვფიქრობდით, რომ ყველა მოვალეა, დაგვეხმაროს. დღეს ეს აღარ მუშაობს. ახლა უკრაინის მიმართ დახმარების საკითხები უნდა დავაყენოთ ჩვენი პარტნიორების ინტერესების მეშვეობით.

– აშშ-ში არსებულ კრიზისს შეუძლია თუ არა დატოვოს ჩვენი სახელმწიფო ომის დროს სამხედრო და ფინანსური დახმარების გარეშე?

– საფრთხე არსებობს, თუმცა უკრაინისადმი დახმარების სრული ბლოკირება არ მოხდება. რამდენიმე თვის განმავლობაში ამერიკული სამხედრო დახმარების შესაძლებლობები შენარჩუნებულია. შესაძლოა, მოწოდებამ დროში გადაიწიოს.

პრობლემა ისაა, რომ უკრაინისათვის ფინანსური დახმარების გაწევის საკითხის საკანონმდებლო მოუგვარებლობის გამო იქმნება პაუზა მაკროეკონომიკური დახმარების თვალსაზრისით. უკრაინის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი პარტნიორების – აშშ-სა და ევროკავშირის დახმარებაზე დგას. ახლა ფინანსებს მხოლოდ ევროკავშირისგან უნდა ველოდოთ. შესაძლოა, იყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფულიც. არ არის გამორიცხული, მცირე თანხების მიღება მოკავშირეებისაგან.

როგორც კი აშშ-ის კონგრესის ქვედა პალატაში სიტუაცია მოწესრიგდება, დახმარება აღდგება. არსებობს დახმარების მასშტაბის შემცირების რისკი.

– ამაზე ასევე იმოქმედებს აშშ-ის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული გამოწვევები?

– არავინაა იმაში დარწმუნებული, რომ აშშ-ში არჩევნებზე და არჩევნების შემდეგ ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც ეს კრემლს უნდა. თავის დროზე რუსებს უხაროდათ ტრამპის გამარჯვება. შემდგომში ყველაფერი ისე ვერ დალაგდა, როგორც მოსკოვში ჰქონდათ ჩაფიქრებული.

ტრამპი პოპულისტია, რომელსაც არ უნდა ნატოზე, აშშ-ის საგარეო ინტერესებზე ფულის ხარჯვა. ეს (თუ ტრამპმა გაიმარჯვა) შეიძლება ნეგატიურად აისახოს უკრაინისადმი დახმარების დონეზე. ასეთ ვითარებაში შეიძლება მოგვიწიოს შეთანხმება საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტაზე.

მეორე მხრივ, ტრამპს (თუ არჩევნები მოიგო) ყველაფერზე ვერ დაითანხმებენ. პუტინი ზეწოლას მოახდენს, რომ შეთანხმებისას გაიტანოს თავისი პირობები. ტრამპი მას შეიძლება არ დაეთანხმოს.

– შეიძლება იძულებული გავხდეთ, დავთანხმდეთ კონფლიქტის გაყინვას?

– რაც გნებავთ, ის დაარქვით. მე საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტაზე ვსაუბრობ.

– მოსალოდნელია პირობითად ახალი მინსკის შეთანხმება?

– არა. მინსკის შეთანხმებები გულისხმობდა რუსეთთან კომპრომისს და განსაკუთრებულ სტატუსს. დღეს სამშვიდობო შეთანხმების წინაპირობებს ვერ ვხედავ. ტერიტორიების სტატუსზე მოლაპარაკება შეუძლებელია. ჩვენ არ დავთანხმდებით ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებას რუსეთის ტერიტორიებად. ახლა ერთადერთი ვარიანტია შეთანხმება საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტაზე ფრონტის გარკვეულ ხაზზე.

„სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის ფიციც გატეხა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– სალომე ზურაბიშვილს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, როგორც ბიძინა ივანიშვილს, საფრანგეთის მოქალაქეც არის. საინტერესოა, საფრანგეთის ხელისუფლება თუ ღებულობდა რამენაირ მონაწილეობას, თუ სალომე ზურაბიშვილისთვის მხარდაჭერა თვითონ ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა?

– მხოლოდ ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა. გავიხსენოთ, მაშინ ბიძინა რამდენჯერმე ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალია, ძველი ქართულით ლაპარაკობსო. მერე, როგორც მას ახასიათებს (ხომ ამბობს, რომ პოლიტიკოსი არ არის და არც მინდა პოლიტიკოსი ვიყოო), გულახდილად თქვა, სალომეზე რატომ შეჩერდა.

კვირიკაშვილს რომ დაველაპარაკე, სახე არ ჰქონდა. მის მიერ შერჩეულმა ორმა-სამმა პიროვნებამ პრეზიდენტობის კანდიდატობაზე რიგრიგობით ყველამ უარი უთხრა.

რატომ თქვეს უარი? ივანიშვილმა თქვა, რომ აღარავის უნდოდა იმ ტალახის, ქვების სროლისა და სიბინძურის ატანა, რომელიც ნაცმოძრაობიდან მოდის სალომეს მიმართ, რადგან კანდიდატი გახდაო.

– სალომე ზურაბიშვილი ამ ყველაფერს ვერ აანალიზებს?

– ძალიან კარგად აანალიზებს, როდესაც საქმე მის კარიერას და კეთილდღეობას ეხება. სხვანაირად ვერც მინისტრი გახდებოდა, ვერც „ოცნების“ მხარდაჭერით, პარლამენტის წევრი და ვერც – პრეზიდენტი.

– მის პრეზიდენტობას საფრთხე ხომ დაემუქრა?

– მერე რა. თავისას ხომ აღწევს. ფრანგები ამბობდნენ, რომ მსგავსი თავნება ადამიანი ფრანგულ დიპლომატიურ კორპუსში არ არის. ეს უნდა იცოდეთო. ის მუდამ მზად არის, ვიღაცის ჯიბრზე რაღაც გააკეთოს და ეს მას ძალიან სიამოვნებს,

რამდენიმე თვის წინ, რამაზ პაპუაშვილი იყო ჩამოსული. რამაზ პაპუაშვილი დაბადებულია საფრანგეთში. ქართული საემიგრაციო დიასპორის თვალსაჩინო წარმომადგენელია. არის მოღვაწე კაცი, რომელმაც ბევრი გააკეთა როგორც დიასპორისთვის პარიზში, ასევე საქართველოსთვის. მათ შორის, ლევილის საქმის გადაწყვეტაში დიდი როლი ითამაშა.

რამაზ პაპუაშვილი არის შვილიშვილი დიდი ივანე გომართელისა, გამოჩენილი ექიმისა, მოღვაწისა. როგორც მახსოვს, დამფუძნებელი კრების წევრიც იყო და ქველმოქმედიც.

რამაზ პაპუაშვილმა სალომეზე თქვა: ძალიან ახლოს ვიცნობ, ერთად ვიზრდებოდით და უნდა ვთქვა, რომ სალომეს საქართველო ძალიან უყვარს. საქართველო იმდენად ძლიერად უყვარს, ქართველებისადმი სიყვარული მის გულში აღარ არისო. ეს ჩანს.

რაში სჭირდება რუსეთს ავდეევკა?

დონის როსტოვში შედგა საიდუმლო თათბირი. მას ესწრებოდნენ: რუსეთის დიქტატორი პუტინი, თავდაცვის მინისტრი შოიგუ, გენერალური შტაბის უფროსი გერასიმოვი და სხვა მაღალჩინოსანი სამხედროები. პუტინმა სამხედროების წინაშე მოკლე და ლაკონური ამოცანა დასვა:

– ავდეევკა უნდა აღებულ იქნას!

ამრიგად, რუსი ოკუპანტები ცდილობენ ავდეევკის აღებას. ეს იოლი არაა. ავდეევკის პირდაპირი შეტევით დაკავება შეუძლებელია. არსებობს ერთადერთი გზა: ქალაქის ე.წ. კოტიოლში მოქცევა. სწორედ ამას ცდილობენ ახლა რუსები.

რატომ ცდილობენ ოკუპანტები ავდეევკის აღებას? ამას რამდენიმე მიზეზი აქვს.

პირველი და უმთავრესია ის, რომ ავდეევკა არის ჭიშკარი დონეცკზე და რუსებიც მის აღებას 2014 წლიდან ცდილობენ, მაგრამ ამაოდ. ავდეევკიდან მეორე ბახმუტი ვეღარ გამოვა, რადგანაც რუსეთის არმია ჭურვების უდიდეს დეფიციტს განიცდის, გარდა ამისა, რუსეთის არმიას არ ჰყოფნის ჯარისკაცები. გაუწვრთნელი მობილიზებულები რეალურ ძალას არ წარმოადგენენ. ისინი ბრძოლის ველიდან უბრალოდ გარბიან. თვით რამზან კადიროვის ბოევიკებიც კი უძლურნი არიან, შეაჩერონ ისინი.

მეორე მიზეზი, რის გამოც რუსეთს ავდეევკა სჭირდება, ეს დონეცკიდან უკრაინული ჯარისკაცების უკან განვევაა. ავდეევკა ხომ დონეცკთან სულ ახლოსაა. ამ ქალაქიდან დონეცკს სულ ადვილად მისწვდები ქვემეხით. რუსებიც ავდეევკიდან უკრაინელთა განდევნას ლამობენ.

მესამე მიზეზი, რომელიც ავდეევკასთან ოკუპანტებს იზიდავს, ეს უკრაინის სამხრეთით და დონეცკის ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობაა.

როგორც ცნობილია, უკრაინული კონტრშეტევა გრძელდება. ბახმუტთან საქმეები ბრწყინვალედაა. ქალაქი ფაქტიურად ალყაშემორტყმულია. რაც შეეხება ზაპოროჟიეს, იქ უკრაინელთა კონტრშეტევა წარმატებით ვითარდება. ფრონტი უკვე რობოტინოს გასცდა, უკრაინული დესანტი კი ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადასხდა. მათ რუსების პოზიციები დაიკავეს. შეტევის გაგრძელება კი რუსეთს კატასტროფას უქადის.

შესაბამისად, გასაგები ხდება, თუ რატომ გასცა ბრძანება პუტინმა ავდეევკაზე შეტევის განახლების თაობაზე. მიუხედავად უდიდესი დანაკარგებისა, სარდლობამ რუსი ჯარისკაცები იერიშზე გარეკა. ეს ოკუპანტებისთვის სავალალოდ დამთავრდა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსების დანაკარგები 90%-ით გაიზარდა. ოკუპანტებიც იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ.

მიუხედავად ამისა, პუტინმა ბრძანება გასცა, რომ მისი ჯარი ახალი შეტევისათვის მოემზადოს. ეს სრული სიგიჟეა, თუმცა ვლადიმერ პუტინი კარგა ხანია ჭკუაზე აღარაა. ნახევრად შეშლილი დიქტატორიც რუსეთს კატასტროფისაკენ მიაქანებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამართალი

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 300-ზე მეტი პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილი ამოიღო და დანაშაულში 14 პირი ამხილა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2023 წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტებზე 14 პირი ამხილა, მათგან 7 დააკავა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 1981 წელს დაბადებულმა, თბილისში მცხოვრებმა გ.მ.-მ, 2023 წლის მარტში, ნაცნობ ქალთან ვიდეოზარით კომუნიკაციის დროს, მას შიშველი სხეულის ჩვენება მოსთხოვა და მისი ნებართვის გარეშე ფარულად ინტიმური შინაარსის აუდიო/ვიდეო მასალა გადაუღო. მოგვიანებით, გ.მ-მ, ქალბატონის რეპუტაციის შელახვისა და დამცირების მიზნით, აღნიშნული ინტიმური ვიდეო/აუდიო მასალა საჯაროდ სოციალურ ქსელში განათავსა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებულის მომართვის შემდეგ, მისი კონფიდენციალურობის სრული დაცვით, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებული გ.მ. დააკავა. მას ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისთვის წარედგინა. დანაშაული 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე, ასევე, დაკავებული იქნა ქ. რუსთავში მცხოვრები, 1992 წელს დაბადებული გ.ტ. ჩატარებული გამოძიების თანახმად, ბრალდებულმა გ.ტ-მ, 2000 წელს დაბადებული ქალის „ფეისბუქის“ გვერდზე უნებართვოდ შეაღწია და დაზარალებულის მიერ სხვა პირთან გადაგზავნილი მისი შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოები და ხმოვანი შეტყობინებები უკანონოდ მოიპოვა. 2022 წლის 26 მაისს და 2022 წლის 15 ივლისს, გ. ტ.-მ აღნიშნული პირადი ხასიათის მასალა დაზარალებულის მეგობრებსა და ნათესავს გადაუგზავნა, ასევე, საჯაროდ „ფეისბუქის“ გვერდზე განათავსა.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული გ.ტ. დაკავა და მას ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისთვის წარედგინა. დანაშაული 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება დანაშაულში მხილებულ დანარჩენ 12 პირს, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს, როგორც ნაცნობ, ასევე, სოციალური ქსელის მეშვეობით გაცნობილ დაზარალებულებთან ურთიერთობა სხვადასხვა დროს ჰქონდათ. ისინი დაზარალებულების პირადი ცხოვრების ამსახველ ინტიმურ ფოტოებსა და ვიდეოებს მობილური ტელეფონებითა და სოციალური ქსელებით მოიპოვებდნენ და ასევე, სხვადასხვა სოციალური ქსელის გამოყენებით დაზარალებულების ახლობლებსა და სხვა პირებს უგზავნიდნენ. აღნიშნული ქმედებებით მათი პირადი ცხოვრების საიდუმლოება დაირღვა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებულების მომართვის შემდეგ, მათი კონფიდენციალურობის სრული დაცვით, საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება მოკლე დროში უზრუნველყო.

მთელი საქართველოს მასშტაბით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის, მობილური და კომპიუტერული ტექნიკიდან ინფორმაციის მოპოვების შედეგად, მტკიცებულების სახით 300 ერთეულზე მეტი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო, ვიდეო და აუდიო ფაილი ამოიღო, ხოლო აღნიშნული მასალის განადგურება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ მოხდება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტების აღსაკვეთად და დანაშაულში მხილებული პირების გამოსავლენად ბრძოლას აქტიურ რეჟიმში აგრძელებს.

გერმანიაში ქურდობისთვის ორი ქართველი დააკავეს

გერმანიაში, ქურდობის ბრალდებით, ქართველები დააკავეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, 37 და 32 წლის ახალგაზრდებს, ქალაქ როზენჰაიმში, რამდენიმე მაღაზიის გაძარცვა ედებათ ბრალად. გავრცელებული ცნობით, საუბარია, ძირითადად ძვირადღირებულ ალკოჰოლურ სასმელებზე.

როგორ მედია წერს, მამაკაცების აყვანა უშუალოდ ქურდობის მცდელობისას მოხდა. მათთან ერთად, დაკავებულია კიდევ ერთი, 48 წლის უკრაინელი. სასჯელს მათ სასამართლო მოგვიანებით გამოუტანს.

ვაზისუბნის ერთ-ერთ კორპუსში ბუნებრივი აირი აფეთქდა

ხანძარი ვაზისუბანში. არსებული ინფორმაციით, ცეცხლი ერთ-ერთ კორპუსში, საცხოვრებელ ბინაში გაჩნდა.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, დაშავებულების შესახებ ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ ვრცელდება.

ადგილობრივების თქმით, ძლიერი აფეთქების ხმა იყო. გაზი აფეთქებულა, რომ გაითიშა, დარჩა, ეტყობა, ვინმეს მოშვებული.

„მიწისძვრა მეგონა, ისე შეზანზარდა ყველაფერი“. „გაზი იყო გათიშული, პატრონს ჩართული დარჩა ალბათ“.

საქართველოში 1923 წელს 959 ეკლესია დაიხურა

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. საბჭოთა რუსეთში 1917 წლიდან დაწყებული ეკლესიების დარბევის, სამღვდელოების დევნის პროცესი საქართველოზეც გავრცელდა.

1921 წლიდან საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს რევკომმა 1921 წელს ეკლესია გამოჰყო სახელმწიფოსგან, ხოლო სკოლა – ეკლესიისგან. საერთო სასწავლებლებში აიკრძალა საღვთო სჯულის სწავლება. საქართველის ეკლესიას არ ჰქონდა იურიდიული პირის უფლება. ეკლესიას არ ჰქონდა საკუთრების ფლობის უფლება. მაგალითად, ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საკუთრებად არ ითვლებოდა: მიწა, რომელზეც ტაძარი იდგა, თვით ტაძარი, წმინდა ხატები და წმინდა წიგნები, ბარძიმიც კი. ყოველივე ეს სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა, ეკლესია კი მათ ხელისუფლების ნებართვით იყენებდა.

ეკლესიებიდან გაიტანეს ვერცხლისა და ოქროს ნივთები, რომელთა დიდი ნაწილი შემდეგ უკვალოდ გაქრა. პირველივე წლებში 600-ზე მეტი ეკლესია დაიხურა.

* * *

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროს, 1921 წლის თებერვალ-მარტში, კათოლიკოს-პატრიარქი იყო უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე. მალე უწმინდესი ლეონიდე მსხვერპლი გახდა შავი ჭირის ეპიდემიის და 1921 წლის 11 ივნისს გარდაიცვალა.

1921 წლის სექტემბერში საეკლესიო კრებამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია). უწმინდესი ამბროსი იყო დიდად განათლებული და შეუდრეკელი ნებისყოფის, ეკლესიისა და ქვეყნისთვის თავგანწირული ადამიანი. 1922 წლის აპრილ-მაისში იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარეობდა საერთაშორისო კონფერენცია. უწმინდესმა ამბროსიმ გენუის კონფერენციას გაუგზავნა წერილი, რომელშიც კონფერენციას აცნობა საქართველოში შექმნილი უმძიმესი მდგიმარეობა. პატრიარქი საერთაშორისო კონფერენციას სთხოვდა დახმარებას, რათა საქართველოდან რუსეთის ჯარი დაუყოვნებლივ ყოფილიყო გაყვანილი.



1922 წლის 13 ივნისს საქართველოს საგანგებო კომისიამ (ჩეკამ) უწმინდესი დააპატიმრა. დაკითხვის შემდეგ პატრიარქი გაათავისუფლეს. ჩეკისტებმა პატრიარქს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. პარალელურად პრესაში დაიწყო პატრიარქისა და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბინძური კამპანია. 1922 წლის 17 ნოემბერს ხელისუფლებამ მოახდინა კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციის კონფისკაცია. 1923 წლის 11 იანვარს პატრიარქი ამბროსი კვლავ წაიყვანეს ჩეკაში დასაკითხად. მართალია, პატრიარქი პატიმრობაში არ დაუტოვებიათ, მაგრამ შინაპატიმრობა მიუსაჯეს. 19 იანვარს კათოლიკოსს უფლება არ მისცეს, წყალკურთხევა ჩაეტარებინა. 1923 წლის 2 ივნისს პატრიარქი იძულებით გამოასახლეს საპატრიაქო რეზიდენციიდან, ხოლო რეზიდენცია დალუქეს. 1923 წლის 12 იანვარს, გენუის კონფერენციისთვის გაგზავნილი მემორანდუმის გამო, დააპატიმრეს უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები: ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე), დიდუბის ეკლესიის დეკანოზი იოსები (მირიანაშვილი), ქვაშვეთის ეკლესიის დიაკონი დიმიტრი (ლაზარიშვილი), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), ვერის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ანტონი (თოთიბაძე), სიონის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მარკოზი (ტყემალაძე), ნიკოლოზ არჯევანიძე და საკათალიკო საბჭოს წევრი ნიკოლოზ თავდგირიძე.

1923 წლის თებერვალ-მარტში სენაკის მაზრაში დაიხურა ყველა ეკლესია. თბილისის მაზრაში – 48 ეკლესია, ქუთაისის მაზრაში – 160, შორაპნის მაზრაში – 148, ოზურგეთის მაზრაში – 130, რაჭა-ლეჩხუმში – 255, გორის მაზრაში – 78, ზუგდიდის მაზრაში – 75, სიღნაღის მაზრაში – 65.

თბილისში, 1924 წლის 10-19 მარტს, ნაძალადევის მუშათა კლუბში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო პროცესი. რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთით გაიმართა.

სასამართლო დარბაზში სპეციალური საშვით შეყვანილი პრესა და მუშები შეურაცხყოფას აყენებდნენ პატრიარქს და ეკლესიას. მიუხედავად ზეწოლისა, პატრიარქმა და საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა თავი დამნაშავედ არ სცნეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ მიესაჯათ: ამბროსი ხელაიას 7 წლით, 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაცია, იასონ კაპანაძეს – 9 წლით სასტიკი იზოლაცია, კალისტრატე ცინცაძეს – 3 წლით, 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაცია, ნიკოლოზ თავდგირიძეს – 3 წლით, 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაცია, მარკოზ ტყემალაძეს – 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზილაცია, იოსებ მირიანაშვილს – 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაცია.

უწმინდესი 1925 წლის 10 მარტს პატიმრობიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. აგრეთვე, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს (1925) საკათალიკოსო საბჭოს წევრებიც: კალისტრატე ცინცაძე, იოსებ მირიანაშვილი, მარკოზ ტყემალაძე და იასონ კაპანაძე.

უწმინდესმა პატრიარქმა ამბროსიმ სიონის ტაძარში უკანასკნელი წირვა 1927 წლის 28 მარტს ჩაატარა. წირვის დროს პატრიარქი ცუდად შეიქნა. ხოლო 29 მარტს გამთენიისას გარდაიცვალა.

მედიცინა

რა არის კლინიკური სიკვდილი

კლინიკური სიკვდილი არის კვდომის პროცესის ბოლო ეტაპი. რუსი ექიმის, ვ.ნეგოვსკის განმარტებით, „კლინიკური სიკვდილი ჯერ არ არის სიკვდილი და უკვე არ არის სიცოცხლე“.

„კლინიკური სიკვდილი“ სუფთა კლინიკური ტერმინია და ხასიათდება სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის შეჩერებით, რეფლექსების არარსებობით. თუმცა, ეს ერთი შეხედვით. არსობრივად კი იგი იწყება თავის ტვინისთვის სისხლის (უფრო ზუსტად, ჟანგბადის) მიწოდების შეწყვეტისთანავე, რა გზითაც უნდა იყოს იგი მიღწეული. თუ რატომ ტვინისთვის, აქვე განგიმარტავთ. ორგანიზმის სხვადასხვა უჯრედს თავისი ფუნქციური მნიშვნელობის, ენერგეტიკული დატვირთვისა და ონტოფილოგენეზური წარმოშობის მიხედვით გააჩნია ჟანგბადის ნაკლებობისადმი სხვადასხვა რეზისტენტობა. ყველაზე დაბალი რეზისტენტობით ხასიათდება თავის ტვინის ქერქის უჯრედები.

კლინიკური სიკვდილის ხანგრძლივობა ისაზღვრება ვადით, რომლის დროსაც თავის ტვინის უმაღლეს ფუნქციურ ზონებს (ქერქი და ქერქქვეშა სტრუქტურები) შეუძლიათ შეინარჩუნონ სიცოცხლისუნარიანობა ანოქსიის (უჟანგბადობის) პირობებში. სხეულის ნორმალური ტემპერატურის შემთხვევაში იგი გრძელდება 5-6 წუთი. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ ადამიანის „გაცოცხლება“ შესაძლებელია, მაგრამ ვიღებთ დეკორტიკაციას (ქერქის სიკვდილი), რომლის შედეგია ვეგეტატური მდგომარეობა (ადამიანი-მცენარე). თუ შეიქმნა ისეთი პირობები, რომლის დროსაც უჯრედის მოთხოვნილება ჟანგბადზე კლებულობს, კლინიკური სიკვდილი შეიძლება გაგრძელდეს ათეულობით წუთი და რეანიმაციული ღონისძიებები აღმოჩნდეს გაცილებით ეფექტური. იგი ხანგრძლივდება ჰიპოთერმიის დროს. რამდენიმე წლის წინ ნორვეგიაში ბავშვი ჩავარდა მდინარეზე ყინულის ქვეშ. მისი ამოყვანა მოხერხდა მხოლოდ 40 წუთის შემდეგ. ექიმებმა შეძლეს სასიცოცხლო ყველა ფუნქციის სრული აღდგენა თავის ტვინის ფუნქციური დეფიციტის გარეშე.

თუ რეანიმაციული ღონისძიება არ ჩატარდა ან იგი აღმოჩნდა უშედეგო, დგება ბიოლოგიური (ჭეშმარიტი) სიკვდილი, რომელიც იწყება თავის ტვინის სიკვდილისთანავე და წარმოადგენს შეუქცევად პროცესს. საზღვარი კლინიკურ და ბიოლოგიურ სიკვდილს შორის მეტად ბუნდოვანია. მისი გარჩევა კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალისტების საქმეა.

აგონია (ბერძ. ბრძოლა) ნებისმიერი დაავადების ბოლო ეტაპია, რომელიც ხასიათდება ყველა კომეენსატორული მექანიზმის გამოფიტვით და სამედიცინო ჩარევის გარეშე აუცილებლად გადავა კლინიკურ სიკვდილში. მისი ხანგრძლივობა მეტად ვარიაბელურია და შეიძლება გაგრძელდეს მყისიერებიდან დღეების განმავლობაში.

კომა (ბერძ. ღრმა ძილი) არის ნებისმიერი ფაქტორის მოქმედებით ტვინის დაზიანების შედეგად განვითარებული უგონო მდგომარეობა. კომის ბევრგვარი სახეობა არსებობს, ყველა მათგანს აერთიანებს ცნობიერების დართგუნვა. თუ აგონია და კლინიკური სიკვდილი დადგა ტვინის პირველადი დაზიანების გარეშე, ადამიანი ხედავს სხვადასხვა ზმანებებს, რომლებიც უმეტესად სუბიექტური ხასიათისაა და მოკლებულია ობიექტურობას. მოვიშველიებ ერთი მართლმადიდებელი ავტორის სიტყვებს:

– ბოლო წლებში ხშირად იბეჭდება სტატიები და წიგნები, რომლებშიც აღწერილია სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის ფაქტები. უმთავრესად ესაა ე.წ. „კლინიკური სიკვდილის“ შემთხვევები, რომლებიც ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ასაბუთებენ საიქიო ცხოვრებას და სულის უკვდავების ჭეშმარიტებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ აღნიშნული პუბლიკაციების ავტორები (რაიმონდ მოუდი, ელიზაბეთ კუბლერ-როსი და სხვები) არამართლმადიდებლები არიან, ისევე, როგორც ის პაციენტები, რომელთა მონათხრობსაც ემყარება მათი დასკვნები, ამის გამო მიუხედავად იმისა, რომ სულის სხეულიდან გაყრის შემდგომი სიცოცხლის ფაქტებში, რასაკვირველია, ეჭვის შეტანა არ შეიძლება, იქ აღწერილი მოვლენები ერთი უმთავრესი ნიშნის გამო არასწორი, არაქრისტიანულია. კერძოდ, ყველა პაციენტი ლაპარაკობს იმაზე, რომ „იქ“ საოცრად კარგად გრძნობდა თავს, რაც მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, სრული სიყალბეა და ეწინააღმდეგება საიქიო ცხოვრების შესახებ ეკლესიურ სწავლებას.

იმ პაციენტთა მონათხრობის დამთხვევა აიხსნება კლინიკური სიკვდილისას ტვინში განვითარებული ცვლილებებისა და ექიმების მიერ ჩატარებული პროცედურების მსგავსებით. კლინიკური სიკვდილის დროს ხომ არ წყდება კავშირი ადამიანის სენსორულ სფეროსა და გარემოს შორის. დაუზიანებელი გრძნობათა ორგანოები კვლავ აწვდიან ინფორმაციას ტვინს, რომელიც ანოქსიის პირობებში დამახინჯებულად აკეთებს მათ ანალიზს. ჩემს პრაქტიკაშიც არაერთხელ ყოფილა მსგავსი შემთხვევა. პაციენტებს, რომლებსაც კლინიკური სიკვდილი გულის ფიბრილაციის შედეგად განუვითარდათ, უმეტესად ლამაზი ზმანებები აქვთ. მახსოვს ერთი ხნიერი ქალბატონი ამ დაავადებით, რომელიც დიდი ძალისხმევით გამოიყვანეს მდგომარეობიდან სასწრაფო დახმარების ექიმებმა. იგი დღესაც გაბრაზებულია და „ვერ პატიობს“ მათ, რომ სიმყუდროვე და სილამაზე დააკარგვინეს. ბიოლოგიური სიკვდილის ანუ მთლიანი ტვინის სიკვდილის დადგომისთანავე სული თავისუფლდება გვამის ტყვეობიდან. ამ დროს იწყება გარემოსა და სიტუაციის ობიექტური აღქმა სულიერ საგრძნობელთა მიერ და მერწმუნეთ, არცთუ სასიამოვნო იქნება არსებული რეალობა. თუმცა, ეს საკითხი სცილდება ჩემს პროფესიულ საზღვრებს. ეს საკითხი სულიწმიდის მადლით დეტალურადაა მოთხრობილი მართლმადიდებელი მოძღვრების მიერ. აღწერილ შემთხვევებში კი უეჭველია, სული სხეულში იმყოფებოდა და მსგავსი მონათხრობი ანოქსიური ტვინის „ფანტაზიის ნაყოფი“ იყო.

კლინიკური სიკვდილიდან გამოსული პაციენტების მდგომარეობა დამოკიდებულია ანოქსიის ხანგრძლივობასა და ძირითად დაავადებაზე. კლინიკური სიკვდილის ყოველი შემდგომი დადგომისას კი გადარჩენის შანსი მკვეთრად კლებულობს. შეუცნობელია განგება ღვთისა. პავლე მოციქული ამბობს: „ჰოი, სიღრმე სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაი, ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკვლეველ არიან გზანი მისნი“ (რომ.11,33). ჩვენი მოსვლა და წასვლა, სიცოცხლე და სიკვდილი, ღვთის ნებაა. ღმერთმა დაგკბადა, იგი გვფარავს ამქვეყნიური ცხოვრებისას და თითოეულისთვის განსაზღვრულ ჟამს მარადისობაში გადაგვასახლებს. ამგვარად ჩვენ: „გინა თუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ. და გინა თუ მოვსწყდებით, უფლისა მიერვე მოვსწყდებით“ (რომ. 14,8).

დაბოლოს, კლინიკური სიკვდილი ჩახლართული კვანძივითაა, გასარჩევად მეტად ძნელია (ეს საქმე პროფესიონალებს მივანდოთ). და თუ ცხონება გვწადია, ხელთ ვიპყრათ ქრისტეს მახვილი და რწმენით გავლიოთ ხანმოკლე უსასრულობა, რომ „ასი წლის შემდეგ“ სხეულისგან თავისუფალი სულის მიერ დანახული რეალობა არ იყოს შემაძრწუნებელი.

ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

❖ ❖ ❖

– ყაყაჩოს ქერქი კევივით დავღეჭოთ ან ყაყაჩოს ფოთლის წვენი ცხვირში ჩავიწვეთოთ.

❖ ❖ ❖

– ცოცხალი კომბოსტოს ფოთლები მივიდოთ საფეთქლებზე, კეფასა და შუბლზე. იგივე შეიძლება გავაკეთოთ დამწვრობისა და დაჟეჟილობის დროს.

❖ ❖ ❖

– ფურისულას 20 გრამ ყვავილს დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი. მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში 3-4-ჯერ 100 გრამის ოდენობით ან მთლიანი მცენარის (ფურისულას) 40-60 გრამს დაასხით 1 ლიტრი წყალი. მიიღეთ 100 გრამი 3-ჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

– ბავშვებში თავის ტკივილის დროს დიდი რაოდენობით გამომშრალი ყვითელი ოქროს ცოცხას ბალახი მოვათავსოთ ბამბის ქსოვილის ტოპრაკში და გავაკეთოთ მისგან სასთუმალი. ავადმყოფი ბავშვი 1 ღამე დავაწვინოთ ამ სასთუმალზე, შემდეგ ბალახი მოვადულოთ და ნაყენით დავბანოთ ბავშვს თავი.

აშშ შეშფოთებულია

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ოსტინმა განაცხადა, რომ შეშფოთებულია ახლო აღმოსავლეთში ესკალაციის საფრთხით. შესაძლოა ომის არეალი გაფართოვდეს და მასში რიგი სახელმწიფოებიც აღმოჩნდნენ ჩათრეული.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინი ღაზაში ხანგრძლივ ომს გეგმავს.

– რუსეთის დიქტატორის გეგმას ორი ფაქტორი უწყობს ხელს. 1) ქალაქის ბრძოლები ტრადიციულად მძიმე და ხანგრძლივია; 2) ღაზას ქვეშ ნამდვილი მიწისქვეშა ქალაქია; იქ არის მთელი ინფრასტრუქტურა და პალესტინელი ბოევიკების აქ გამაგრებაც სრულიად რეალურია, – თქვა ოსტინმა.

შექმნილია „ბოროტების ღერძი“

სენატში ამერიკელ რესპუბლიკელთა ლიდერმა მიტჩ მაკონელმა განაცხადა, რომ შექმნილია „ბოროტების ღერძი“ – რუსეთი-ირანი-ჰამასი, რაც თავისუფალ სამყაროს აიძულებს, თავი დაიცვას.

აღსანიშნავია, რომ მაკონელი განეკუთვნება იმ ძალებს, რომელთა იმედიც პუტინს ჰქონდა, მაგრამ ეს არ გამართლდა.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 5.093, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 9.653, არტილერია – 7.057, თვითმფრინავები – 320,

განადგურებულია – 294.700 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

ირის ანტმანი: „საქართველოს მოგება შეუძლია“

საქართველოს ქალთა ნაკრები ერთა ლიგის მოახლოებული მატჩებისთვის ემზადება. ირის ანტმანის გუნდი ერთა ლიგის მესამე შეხვედრას 27 ოქტომბერს, სტუმრად, ლიეტუვის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს, ხოლო 31-ში ბალტიისპირელებს უკვე ჩვენი გუნდი უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრებმა ოქტომბრის მატჩებისთვის მზადება თბილისში დაიწყო. მოახლოებული შეხვედრებისთვის ირის ანტმანმა ეროვნულ ნაკრებში 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

ირის ანტმანი:

– ფეხბურთელები მოახლოებული მატჩებისთვის მზად არიან. საქართველოში ვარ, ვესწრები თამაშებს და ვხედავ, ვინ ასრულებს ინდივიდუალურ დავალებებს. შედეგად, გვყავს ახალწვეულები, რომლებიც მზად არის ნაკრებში სათამაშოდ. ეს მოედანზე ნათლად ჩანს. გამოვიძახეთ ის საუკეთესოები, რომლებიც ამ ორ ძალიან მნიშვნელოვან მატჩში დაგვეხმარებიან. ვფიქრობ, ლუქსემბურგთან მატჩში კარგად ვაჩვენეთ ჩვენი განვითარება. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. მინდა, რომ ჩემმა გუნდმა გამარჯვებები მოიპოვოს, რაც ნამდვილად შეუძლიათ. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ, რაც მთავარია, ფეხბურთელებს ამის სურვილი აქვთ. გუნდში კარგი განწყობაა, ყველა იბრძვის სასტარტო შემადგენლობაში მოსახვედრად, რაც ნიშნავს, რომ გუნდში ჯანსაღი გარემოა. ამავდროულად, ფეხბურთელებში ძალიან მეგობრული განწყობაა და აქვთ სურვილი, მიაღწიონ შედეგს. ასე რომ, მათ ვენდობი და ვიცი, რომ ეს შეუძლიათ.

ეგრაელი სპეციალისტის კრებული კი ასეთია:

მეკარე: თეონა სუხაშვილი (იონიშკისი, ლიეტუვა), სვეტალნა გაბელაია (კოლხეთი ხ), ეკა თაბაგარი (ლანჩხუთი);

დაცვა: მარიამ კალანდაძე, სოფიკო ნარსია, გვანცა ქადაგიშვილი, ნინო გუჯაბიძე, ნინო ჩხარტიშვილი (ყველა ლანჩხუთი), სალომე გასვიანი (კვარტალი), თამარ ტატუაშვილი (ტრაბზონი, თურქეთი), თამარ ქველიძე (ეტლინგვაიერი, გერმანია);

ნახევარდაცვა: ნინო პასიკაშვილი, ნათია დანელია (კვარტალი), თინათინ ამბალია (ლანჩხუთი), თეონა თოდაძე (კოლხეთი ხ), ტატიანა მატვეევა (ქარაგუმრუქი, თურქეთი), ანა ჩემინავა, თეონა ბაქრაძე (ორივე ტრაბზონი, თურქეთი), ნინო ბუხრიკიძე (სამეგრელო);

თავდასხმა: ხატია ჭყონია (ბათუმი), მაიკო ბებია (სამეგრელო), ანასტასია ბოლქვაძე, ლელა ჭიჭინაძე (ორივე ლანჩხუთი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

ნანა შარიქაძე: „4-წლიანი პასუხისმგებლობა დასრულდა“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რად ჩემთვის, იმ ადამიანებისთვის, ვინც ჩემთან ერთად ესწრებოდნენ იმ შეხვედრას და ალბათ იმათთვისაც, ვინც ამ ომში ბრმა იარაღად გამოიყენეს, ან თავიანთი სურვილით გამოაყენებინეს თავი. მჯერა, რომ მოვა დრო, როცა 11 აპრილის შეხვედრაზე მყოფნი იტყვიან, რომ იქ არ ყოფილან... და მაინც ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი ფასი იმ დღეს თქვენ გადაიხადეთ.

ჩემს აზრზე კვლავაც ვრჩები, რომ აკადემიური თავისუფლება და ავტონომიურობა კვლავ გამოწვევად რჩება კონსერვატორიისთვის, როგორც არ უნდა შეიფუთოს ის.

რეფორმა კი ნამდვილად გასატარებელია, ოღონდ სისტემაში და ურიგო არ იქნებოდა მისი კულტურის სამინისტროდან დაწყება.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ამ 4 წლის მანძილზე განეული თავდაუზოგავი შრომისთვის. მადლობა მათ, ვინც ამ ომში არ მიმატოვა, ჩემ გვერდით იდგა და მამხნევებდა; ჩემს გუნდს, სახელებს არ ჩამოვწერ, იმ ადამიანებსაც, რომლებიც ამას ღიად არ/ვერ აკეთებდნენ იმის შიშით, რომ სამიზნე არ გამხდარიყვნენ და მადლობა მათაც, ვინც ეს ომი საკუთარი ვიწრო ადამიანური სურვილების მიღწევის შესაძლებლობად აღიქვა...

ამ კრიზისმა გამოავლინა საუკეთესო ღირსეულებში და ფსკერი წახდენილებში.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს ყველა თაობის სტუდენტს – ამჟამინდელს და ყოფილს – გულშემატკივრობისთვის, თბილი სიტყვებისა და ასეთი სიყვარულისთვის.

ვრჩები კონსერვატორიაში, როგორც ლექტორი და, იმედია, პროფესიულ საქმიანობას – მუსიკოლოგი ვარ, თუ ვინმემ არ იცის და იურისტი ვგონივარ – შეუფერხებლად გავაგრძელებ.

ნათქვამია – „თუ გინდა იარო ჩქარა, იარე მარტომ, მაგრამ თუ გინდა წახვიდე შორს, იარე სხვებთან ერთად“. ჰოდა, 4 წელია ერთად სიარულით საკმაო მანძილი გავიარეთ. ახლა ჩქარა სიარულის დროა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ალიგატორმა მომთვინიერებელს ტერფის ნაწილი მოაჭამა

ალიგატორების მომთვინიერებელმა ტაისონ ფლორენსმა ტერფის ნაწილი, ფეხის ცერა თითი, წარმოდგენის მიმდინარეობის დროს დაკარგა.

ფლორენსი წარმოდგენას ფლორიდის შტატში ბიგ-საიპრესის რეზიდენციაში ინდიელი-სემინოლების დღეს-

ასწაულზე მართავდა, რომლის დროსაც ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან თავს იყრიან ადამიანები, რომლებიც ალიგატორების მოთვინიერებით არიან დაკავებულები. წარმოდგენის დროს მტაცებელმა რეპტილიამ მოულოდნელად პირი სტაცა მომთვინიერებელს მარჯვენა ფეხში და მაყურებლების თვალწინ, რომელთა შორის მისი ნათესავები და საცოლეც იმყოფებოდნენ, ტერფის ნაწილი მოაჭამა.

მაყურებლები მაშინვე მიცვივდნენ ფლორენსს დასახმარებლად, ამოათრიეს გასაბერი აუზიდან, რომელშიც ალიგატორი იმყოფებოდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. მიუხედავად ექიმების დროული დახმარებისა, მამაკაცის ფეხის ცერა თითის შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

მამაკაცის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრო გავიდა ამ შემთხვევიდან, მას დღემდე აწუხებს ტკივილები და ყველაფერს საკუთარ უყურადღებობას აბრალებს.

უცნობმა ცხოველმა სამმეტრიანი ზვიგენი შუაზე გადაჭრა

ავსტრალიაში ზღვის ნაპირზე აღმოაჩინეს დიდი თეთრი ზვიგენის ნაწილები, რომელიც უცნობმა ცხოველმა დაგლიჯა.

შუაზე გაგლეჯილი ზვიგენის ლეში ადგილობრივებმა ბრიჯოუტერის კონცხის რაიონში შენიშნეს. თევზის მაღაზიის მმართველი ბენ ჯონსტოუნი, რომელმაც ზვიგენის ლეში დაათვალიერა, ფიქრობს, რომ მისი სიგრძე დაახლოებით სამ მეტრს შეადგენდა.



ჯონსტოუნის აზრით, ზვიგენზე მიყენებული დაზიანებებიდან გამომდინარე, შესაძლოა მას თავს მკვლელი ვეშაპები დაესხნენ. ეს ზღვის ცხოველები კონცხის მახლობლად ორი დღით ადრე შენიშნეს. მათი გუნდის შესახებ, რომლებიც იმ შემოგარენში დაცურავდნენ, ფოტოგრაფმა ალენ მაკკოლიმ განაცხადა.

ირინა შეიკი და ტომ ბრედი დაშორდნენ

ცნობილი რუსი სუპერმოდელი ირინა შეიკი და ამერიკელი ფეხბურთელი ტომ ბრედი ერთმანეთს დაშორდნენ.

ცნობილი გახდა, რომ ყოფილი შეყვარებულების რომანი ყოველგვარი სკანდალების გარეშე დასრულდა. ცნობილ სახეებთან დაახლოებულმა ანონიმურმა წყარომ განაცხადა, რომ ბოლო დროს ისინი სხვადასხვა ქალაქში იმყოფებოდნენ. მაგალითად, ტომ ბრედი მაიამიში იახტაზე დასვენების დროს შენიშნეს, ხოლო ირინა შეიკი ამ დროს ნიუ-იორკში იმყოფებოდა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოდელმა ურთიერთობა განაახლა თავის ყოფილ შეყვარებულ ბრედლი კუპერთან, რომელსაც ის 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით ხვდებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

შენგელია სამმაგი დუბლის ფლაგმანი – შერმადინის რეკორდი

ამერიკის ნაციონალური ასოციაციის რეგულარული სეზონის დაწყებამდე ქართველი კალათბურთელების გუნდებმა ბოლო ამხანაგური მატჩები ითამაშეს. გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქმა ბრაზილიური ფლამენგო 109:75 დაამარცხა, ხოლო სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონიო სპურსმა სტუმრად გოლდენ სტეიტს 122:117 სძლია.

მიღებული წუთებიდან გამომდინარე, ორივე ქართველი კალათბურთელი შედეგიანი იყო. ბითაძემ ბრაზილიური გუნდის წინააღმდეგ 22 წუთი ითამაშა, რა დროშიც 11 ქულა, 5 მოხსნა, 4 ასისტი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა დააგროვა. გოგამ 6 დან 3 ორქულიანი და 8 დან 5 საჯარიმო გამოიყენა.

გოლდენ სტეიტის წინააღმდეგ 7 წუთი მიიღო მამუკელაშვილმა. ამ დროის მანძილზე ჩვენებურმა 8 ქულა, თითო მოხსნა, პასი და ჩაჭრა დააგროვა. სანდრომ თამაშიდან 4-ჯერ ესროლა და 3 ტყორცნა ზუსტი აღმოჩნდა.

სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს ორლანდო მეჯიქი 26 ოქტომბერს საშინაო მოედანზე ჰიუსტონ როკეტსთან გამართავს, ხოლო სან ანტონიო იმავე დღეს დალას მავერიქსს უმასპინძლებს.

ევროპაში ყოჩაღობს საქართველოს ნაკრების კალათბურთელი თორნიკე შენგელია და კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. იტალიის ჩემპიონატის მე-4 ტურში ბოლონიელებმა დინამო სასარის უმასპინძლეს და ქართველი ფორვარდის წინამძღოლობით 80:60 დაამარცხეს.

ამჯერად შენგელიამ ჩვეულებრივზე მეტი უნივერსალიზმი გამოავლინა და სამმაგ დუბლამდე ერთადერთი პასი დააკლდა. თორნიკეს ანგარიშზე 30 წუთში 10 ქულა, 12 მოხსნა და 9 პასია. მან 5-დან 3 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა, პერიმეტრის ხაზიდან კი, ერთხელ ისროლა და არაზუსტად.

ოთხიდან ოთხი გამარჯვებით ვირტუსი სერია ა-ს ლიდერია. შემდეგ შეხვედრას ლუკა ბანკის გუნდი 27 ოქტომბერს ევროლიგაზე ფრანგულ ვილერბანთან ითამაშებს, ხოლო სერია ა-ში კი, 30 ოქტომბერს, ნაპოლის ესტუმრება.

ესპანეთის ჩემპიონატში გიორგი შერმადინის ტენერიფეს საქმეები არცთუ კარგად მიდის და ექვს ტურში უკვე მეოთხე მატჩი წააგო. კუნძულელებს ესპანეთისა და სრულიად ევროპის გრანდი მადრიდის რეალი ესტუმრა და 76:82 დაამარცხა.

შერმადინის სტატისტიკა ასეთი იყო: 14 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა. ქართველმა ცენტრმა 4-დან 2 ორქულიანი მიითვალა.

კანარელები, რომლებიც ჩემპიონატში მე-13 ადგილზე არიან, მომავალ მატჩს 24 ოქტომბერს ჩემპიონთა ლიგაში თურქულ დარუშაფაკასთან ითამაშებენ.

წაგებისა და მიუხედავად იმისა, რომ შერმადინს მაგარი სტატისტიკაც არ ჰქონია, ქართველ ცენტრს ზეიმის მიზეზი აქვს – რეალთან შეხვედრაში რეკორდი დაფიქსირდა: შერმადინს ესპანეთის ჩემპიონატში უკვე 733 რეალიზებული ორქულიანი მოუგროვდა და ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე გადაინაცვლა. მანამდე საუკეთესო შედეგი გერმან გლეზს ჰქონდა – 731.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

სექს-თოჯინის გამო გზა 30 საათით იყო გადაკეტილი

დიდ ბრიტანეთში პოლიციელებს უორიკშირის საგრაფოში გზა 30 საათით ჰქონდათ გადაკეტილი, რისი მიზეზიც ძველი სექს-თოჯინა გახდა.

17 ოქტომბერს მოგზაურმა ტურისტმა სოფელ კინეტონის მახლობლად, გზის პირას, ბუჩქნარში ქალის ხელი და ფეხი შენიშნა. მან დაუყოვნებლივ დარეკა პოლიციაში და აცნობა, რომ გარდაცვლილი ადამიანი აღმოაჩინა. დაახლოებით შუადღისთვის შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მივიდნენ და გზა გადაკეტეს.

პოლიციელები თავად არ შეუდგნენ ადგილის დათვალიერებას და უახლოესი ქალაქიდან კრიმინალისტების ჯგუფი გამოიძახეს. გამომძიებლებმა შემთხვევის ადგილი შემოსაზღვრეს და შესაძლო დანაშაულის მტკიცებულებების შეგროვებას შეუდგნენ.

კრიმინალისტები ადგილზე მხოლოდ მეორე დღეს ჩავიდნენ და როდესაც „ცხედრის“ დათვალიერების გადაწყვეტილება მიიღეს, აღმოჩდა, რომ საქმე ძველ სექს-თოჯინასთან ჰქონდათ, რომელიც ძალიან წააგავდა ნამდვილ ადამიანს. ამ აღმოჩენამ ძალიან გაამხიარულა პოლიციელები, რომლებიც უკვე 30 საათის განმავლობაში აწარმოებდნენ გამოძიებას.

მათი დასკვნით, უბრალოდ, ძველი სექს-თოჯინა ვიღაცამ გადააგდო. ადგილობრივები კი ფიქრობენ, რომ ის კი არ გადააგდეს, არამედ სპეციალურად დადეს იქ, ხელისუფლების გასამასხარავებლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

სუპერლიგა და ისტორიული ფაქტები

კავკასია-თსუ 85:89
(22:18; 24:27; 22:21; 17:23)

სუპერლიგის ჩემპიონმა თსუ-მა, რომელმაც პირველი ტურის მატჩი გამოტოვა, რადგან გერმანიაში, ფიბა ევროპის თასზე ითამაშა, საქართველოს ჩემპიონატში პირველი მატჩი გამართა და დაძაბულ ბრძოლაში კავკასიას სძლია – 89:85.

კავკასიელებმა თსუ-ს გვარიანი ბრძოლა გაუმართეს. ის კი არა, უმეტესწილად, იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე, როცა ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი დადგა, გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე კავკასია 75:68 იგებდა და წარმატებამდე სულ მცირედი აკლდა. თსუ-ს მოთამაშეებმა ეს ჩამორჩენა მალევე შეამცირეს, რაც მათი გუნდის გამოცდილი წევრების – გიორგი ცინცაძის, კახა ჯინჭარაძის, გიორგი ტურძილაძის და ალექსანდრე ფევაძის დამსახურება იყო.

განსაკუთრებით გამოსარჩევია ფევაძე, რომელიც ამ შეხვედრაში შეუჩერებელი იყო. საბოლოოდ მის ანგარიშზე 31 ქულა, 14 მოხსნა და 3 პასი დაგროვდა. თავიანთი ლიდერი კავკასიელებსაც ჰყავდათ – ამერიკელი გრეგ ფარჰემი, რომელმაც 32 ქულა, 12 მოხსნა და 4 პასი მიითვალა, მაგრამ გუნდურ თამაშში საბოლოოდ თსუ-მა იმარჯვა და სუპერლიგა გამარჯვებით დაიწყო.

ივერიონი-დელტა 61:70
(18:14; 15:25; 13:21; 15:10)

სუპერლიგაში დებიუტი ჰქონდა გორის ივერიონს, რომელიც წინა სეზონში ა ლიგიდან ტყიბულის ორბთან ერთად უმაღლესში აღზევდა. გორს პირველი გურჯაანის დელტა ესტუმრა და პირველი პერიოდი 14:18 დათმო. ქართლელები მეორე პერიოდის დასაწყისში 10 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ გურჯაანელებმა თამაში გამოასწორეს და სწორად შერჩეული ტაქტიკითა და სათამაშო დისციპლინით ეს ჩამორჩენა მალევე გააბათილეს.

მეორე პერიოდის შუაწელში ანგარიში გათანაბრდა, ხოლო დიდ შესვენებამდე 4 წუთით ადრე გურჯაანელები პირველად და საბოლოოდ დაწინაურდნენ – 39:33 და ამის შემდეგ მეტოქე ახლოს აღარ გაიკარეს. მესამე პერიოდში გურჯაანელთა უპირატესობამ 10 ქულას გადააჭარბა და აღნიშნულ ზღვარს მასპინძლები თამაშის ბოლოსთვის, ისიც ერთი ქულით ჩამოსცდნენ – 61:70.

გამარჯვებულებს 20 ქულით, 7 პასით და 4 მოხსნით ოთარ ფხაკაძემ ულიდერა. 14 ქულა, 17 მოხსნა და 3-3 ჩაჭრა-დაფარება მიითვალა ბექა ბექაურმა, საბა ლობჯანიძის ანგარიშზე კი 12 ქულა და 15 მოხსნა დაგროვდა. გორელთაგან 14 ქულითა და 8 პასით საუკეთესო იყო გივი ბაქრაძე, კევინ ჰარდრიქტმა 15 ქულა დააგროვა, ხოლო რიკარდო ლინჩმა ივერიონს 12 ქულა და 9 მოხსნა შესძინა.

გურჯაანელებს მე-2 ტურის შემდეგ თითო მოგება-წაგება აქვთ, გორელებს 1 მარცხი.

რაში-რუსთავი 112:92
(27:16; 25:22; 26:27; 34:27)

პირველი მატჩი არსებობის ისტორიაში და პირველი გამარჯვება – საკალათბურთო კლუბმა რაშმა ისტორიის ათვლა წარმატებული მატჩით დაიწყო. ბესო ლეჟავას გაწვრთნილმა ახალმა გუნდმა სუპერლიგის მეორე ტურის პირველ მატჩში სუპერლიგის წინა სეზონის ფინალისტი რუსთავი 20 ქულის სხვაობით – 112:92 დაამარცხა.

სანამ მატჩის სხვა დეტალებზე გადავალთ, განვმარტავთ, საიდან მოხვდა ახალი გუნდი უმაღლეს ლიგაში. სუპერლიგაში გუნდმა ადგილი ან ა ლიგიდან, წარმატებით უნდა მოიპოვოს, ან სუპერლიგის რომელიმე მოქმედმა წევრმა ფუნქციონირება უნდა შეწყვიტოს და საკუთარი ადგილი სხვას დაუთმოს (გაყიდოს). ასე მოხდა კაკტუსის შემთხვევაში – კლუბმა საკუთარი ადგილი იმ ორგანიზაციას გადაულოცა, რომელმაც სუპერლიგაში საკუთარი გუნდი რაშის სახელით დაარეგისტრირა და დებიუტიც ჰქონდა.

კლუბი კაკტუსი არ გაყიდულა. გუნდმა სუპერლიგაში საკუთარი ადგილი რაშს დაუთმო და თავად საკალათბურთო კლუბის ფუნქციონირება შეაჩერა. კაკტუსის რამდენიმე წევრი რაშის შემადგენლობაში ჩაირიცხა, მთავარი მწვრთნელი კი ბესიკ ლეჟავა გახდა, რომელმაც რუსთავის ძლევით ბრწყინვალე დებიუტი მოიწყო.

ერიკ ფრედერიკმა მატჩის პირველი ბურთი რომ ჩააგდო და რაში დააწინაურა, მას მერე ლიდერი აღარ შეცვლილა. რაშმა პირველი პერიოდი 27:16 მოიგო და მას მერე ხელჩასაჭიდი უპირატესობა აღარ დაუთმია. მაქსიმუმი, რაც რუსთავმა მოახერხა, მეორე პერიოდში ჩამორჩენის 5 ქულამდე შემცირება იყო.

რაშის შემადგენლობაში საუკეთესოები ლეგიონერები იყვნენ – ფრედერიმმა 30 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა, ბრადენ ოლსენმა კი 19 ქულა, 9 პასი და 5 მოხსნა. სანდრო სანაძის ანგარიშზე 22 ქულა და 6 პასი დაგროვდა.

ორბი-მარგვეთი 100:94 (ოტ)
(29:23; 23:19; 14:31; 20:14; 14:7)

იმერულ დერბიში ტყიბულის ორბმა საკუთარ მოედანზე ზესტაფონის მარგვეთი 100:94 დაამარცხა და სუპერლიგაში პირველი გამარჯვება იზეიმა.

დებიუტანტი ორბისთვის ეს გახლდათ სუპერლიგის მეორე მატჩი. პირველი შეხვედრა ტყიბულელებმა თბილისში, დამატებით დროში გაუ-სთან წააგეს, ამჯერად კი, ისევ ოვერტაიმში მოიგეს. ირაკლი ტომარაძის გაწვრთნილმა გუნდმა ტყიბულის სავსე დარბაზის გასახარად დამატებით დროში მოახერხა ზესტაფონელების გატეხა და სუპერლიგაში პირველი, ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ. ორბმა პირველი პერიოდი მასპინძლებმა 29:23 მოიგეს, მეორეში კი მეტოქეზე ზეწოლა კიდევ უფრო გაზარდეს და ყველაზე დიდი ლიდერობა დიდი შესვენებისთვის დაფიქსირდა – 52:42.

მესამე პერიოდი ზესტაფონელთა სრული უპირატესობით წარიმართა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა მარგვეთმა პერიოდის შუა ნაწილი კარგად ჩაატარა და 66:62 დაწინაურდა. მთლიანობაში მე-3 ათწუთეული ზესტაფონელებმა 31:14 მოიგეს და ბოლო პერიოდის წინ 6 ქულით იგებდნენ – 73:66.

ასეთი უიმედო ათწუთეულის შემდეგ მასპინძლებმა მოახერხეს რეაბილიტირება და ჩამორჩენა გააბათილეს. თამაშის ძირითად დრო ფრედ – 86:86 დასრულდა და გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ხუთწუთეული დაინიშნა. კენი კუპერის დიდებული თამაშის წყალობით ორბმა ოვერტაიმში მეტოქეს აჯობა და საბოლოოდ გამარჯვებამდეც მივიდა. ოვერტაიმში ჩაგდებული 14 ქულიდან 12 კუპერის ანგარიშზეა, 2 კი, ჯონ ნეიგლიმ მიითვალა.

საბოლოოდ კუპერი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა, რომელმაც 37 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. 28 ქულა დ 9 მოხსნა მეორე ლეგიონერის – ჯონ ნეიგლის ანგარიშზეა. მარგვეთში 35 ქულა ჰქონდა მაიკლ მეისს. ლუკა ზაქრაძემ ზესტაფონელებს 16 ქულა და 6 პასი შესძინა.

ქუთაისი-გაუ 111:88
(32:22; 35:14; 18:24; 26:28)

ტური ქუთაისში დასრულდა, სადაც კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა მასპინძლებმა, რომელმაც პირველ ტურში სტუმრად რუსთავთან წააგო, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ქუთაისელებმა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გუნდს, გაუ-ს უმასპინძლეს და დამაჯერებლად – 111:88 სძლიეს.

მატჩის ბედი პირველი ნახევრის შემდეგ გადაწყვეტილი იყო. ქუთაისელებმა თავიდანვე მძლავრად დაიწყეს და პირველი პერიოდის 32:22 მოგების შემდეგ ტემპს კიდევ უფრო უმატეს. მეორე ათწუთეული ტუღუშის გუნდმა 21 ქულის სხვაობით – 35:14 მოიგო და შეხვედრას სპორტული ინტერესი დაუკარგა. გაუ-ს არ ჰქონდა ის რესურსი, რომ 31-ქულიანი დეფიციტი მეორე ნახევარში გაებათილებინა. თბილისელებმა მესამე და მეოთხე პერიოდები კი მოიგეს, მაგრამ მცირე სხვაობებით და ამის მიზეზი ის იყო, რომ ქუთაისელებს თავი აღარ გამოუდიათ.

ბოლო პერიოდში მოედანზე სათადარიგოები გამოვიდნენ – თამაშის შანსი ორივე გუნდიდან განაცხადში მყოფ ყველა მოთამაშეს მიეცა. საბოლოოდ ქუთაისელებმა 23 ქულით იმარჯვეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

შიშველ ქალს ტყეში ორ საათზე მეტხანს ეძებდნენ

ამერიკის ნიუ-იორკის შტატში გადაარჩინეს ქალი, რომელიც ტყეში დედიშობილა წავიდა და დაიკარგა.

გზაზე შიშველი ქალი მანქანის მძღოლმა დილის დაახლოებით ხუთ საათზე შენიშნა. მან ექსტრემალურ სამსახურში დარეკა და ამ ფაქტის შესახებ აცნობა. მალე შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მივიდნენ. მათ მიწაზე დაყრილი ქალის ტანსაცმელი იპოვეს, თუმცა თავად ის არსად ჩანდა.

შერიფის თანაშემწეები სასამსახურო ძაღლების გამოყენებით ორ საათზე მეტი ხნის მანძილზე ეძებდნენ ქალს ტყეში, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ამის შემდეგ სამძებრო ოპერაციაში უპილოტო საფრენი აპარატი ჩართეს, რომელიც შერიფის ოფისის განკარგულებაში ირიცხებოდა. ხუთი წუთის შემდეგ მასზე დამაგრებულმა ინფრაწითელმა კამერამ ხშირ ბუჩქნარში მწოლიარე ადამიანის სხეული დააფიქსირა.

როგორც გაირკვა, ქალი ბუჩქნარში იმალებოდა და სწორედ ამიტომ ვერ შენიშნეს თავიდანვე. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს ჰაერის ტემპერატურა ექვს გრადუსს არ აღემატებოდა.

შერიფის თანაშემწემ ქალს გასათბობად ოდეალა შემოახვია, შემდეგ კი გამოკვლევაზე საავადმყოფოში გადაიყვანა. ქალის ქცევის მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ᲛᲔᲓᲘᲐᲒᲔᲑᲘ

22 ოქტომბერი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ინგლისი. პრემიერლიგა

ასტონ ვილა-ვესტ ჰემი 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	9	7	0	2	19-7	21
2.არსენალი	9	6	3	0	18-8	21
3.ლივერპული	9	6	2	1	20-9	20
4.ტოტენჰემი	8	6	2	0	18-8	20
5.ასტონ ვილა	9	6	1	2	23-13	19
6.ნიუკასლი	9	5	1	3	24-9	16
7.ბრაიტონი	9	5	1	3	22-18	16
8.მანჩესტერი	9	5	0	4	11-13	15
9.ვესტ ჰემი	9	4	2	3	16-16	14
10.ჩელსი	9	3	3	3	13-9	12
11.კრ.პალასი	9	3	3	3	7-11	12
12.ვულვზი	9	3	2	4	11-15	11
13.ფულემი	8	3	2	3	8-13	11
14.ბრენტფორდი	9	2	4	3	14-12	10
15.ნოტინგემი	9	2	4	3	10-12	10
16.ევერტონი	9	2	1	6	9-14	7
17.ლუთონი	9	1	2	6	8-17	5
18.ბარნლი	9	1	1	7	7-23	4
19.ბორნმუთი	9	0	3	6	6-20	3
20.შეფილდი	9	0	1	8	7-24	1

გერმანია. ბუნდესლიგა

კიოლნი-გლადბახი 3:1
ჰაიდენჰაიმი-აუგსბურგი 2:5

სატურნირო ცხრილი:

1.ლევერკუზენი	8	7	1	0	25-7	22
2.შტუტგარტი	8	7	0	1	25-8	21
3.ბაიერნი	8	6	2	0	26-7	20
4.დორტმუნდი	8	6	2	0	17-8	20
5.ლაიფციგი	8	5	2	1	19-7	17
6.ჰოფენჰაიმი	8	5	0	3	17-14	15
7.აინტრახტი	8	3	4	1	9-6	13
8.ფრაიბურგი	8	4	1	3	9-14	13
9.ვოლფსბურგი	8	4	0	4	11-11	12
10.აუგსბურგი	8	2	2	4	15-19	8
11.ჰაიდენჰაიმი	8	2	1	5	12-20	7
12.დარმშტადი	8	2	1	5	13-22	7
13.გლადბახი	8	1	3	4	14-19	6
14.ვერდერი	8	2	0	6	12-18	6
15.უნიონი	8	2	0	6	11-17	6
16.კიოლნი	8	1	1	6	7-15	4
17.ბოხუმი	8	0	4	4	6-21	4
18.მაინცი	8	0	2	6	7-22	2

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანზა-კილი 1:3
კარლსრუე-შალკე 3:0
ნიურნბერგი-ჰერტა 3:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლას პალმასი-რაიო 0:1
ხირონა-ალმერია 5:2
ვილიარეალი-ალავესი 1:1
ბარსელონა-ბილბაო 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	10	8	1	1	21-7	25
2.ხირონა	10	8	1	1	24-13	25
3.ბარსელონა	10	7	3	0	22-10	24
4.ატლეტიკო	9	7	1	1	23-8	22
5.სოსიედადი	10	5	3	2	18-12	18
6.ბილბაო	10	5	2	3	16-10	17
7.რაიო	10	4	4	2	12-13	16
8.ბეტისი	10	3	5	2	12-14	14
9.ოსასუნა	10	4	1	5	11-14	13
10.ვალენსია	9	3	2	4	10-11	11
11.ხეტაფე	10	2	5	3	13-16	11
12.ლას პალმასი	10	3	2	5	6-9	11
13.კადისი	9	2	3	4	8-12	9
14.ალავესი	10	2	3	5	8-14	9
15.ვილიარეალი	10	2	3	5	12-16	9
16.სევილია	9	2	3	4	14-13	9
17.მალიორკა	10	1	5	4	12-16	8
18.სელტა	10	1	3	6	10-18	6
19.გრანადა	10	1	3	6	15-25	6
20.ალმერია	10	0	3	7	13-29	3

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ფეროლი-ელდენსე 1:1
უესკა-ელჩე 0:1
ალბასეტე-ხიხონი 1:3
რასინგი-ბურგოსი 3:0
ვალიადოლიდი-ანდორა 2:0

იტალია. სერია ა

რომა-მონცა 1:0
ბოლონია-ფროზინონე 2:1
სალერნიტანა-კალიარი 2:2
ატალანტა-ჯენოა 2:0
მილანი-იუვენტუსი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	9	7	1	1	21-5	22
2.მილანი	9	7	0	2	16-9	21
3.იუვენტუსი	9	6	2	1	15-6	20
4.ფიორენტინა	8	5	2	1	18-11	17
5.ნაპოლი	9	5	2	2	20-10	17
6.ატალანტა	9	5	1	3	15-8	16
7.რომა	9	4	2	3	20-12	14
8.ბოლონია	9	3	5	1	10-7	14
9.ლაციო	9	4	1	4	12-12	13
10.მონცა	9	3	3	3	8-8	12
11.ლეჩე	8	3	3	2	9-10	12
12.ფროზინონე	9	3	3	3	12-13	12
13.სასუოლო	9	3	1	5	12-16	10
14.ტორინო	9	2	3	4	6-12	9
15.ჯენოა	9	2	2	5	10-14	8
16.ვერონა	9	2	2	5	6-11	8
17.უდინეზე	8	0	5	3	4-12	5
18.ემპოლი	8	1	1	6	1-16	4
19.სალერნიტანა	9	0	4	5	6-19	4
20.კალიარი	9	0	3	6	5-18	3

იტალია. სერია ბ

სამპდორია-კოზენცა 2:0
რეჯანა-ვენეციია 1:0

საფრანგეთი. ლიგა 1

ლორიანი-რენი 2:1
ლილი-ბრესტი 1:0
ნანტი-მონპელიე 2:0
ტულუზა-რეიმსი 1:1
მონაკო-მეცი 2:1
ლიონი-კლერმონი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	9	6	2	1	23-12	20
2.ნიცა	9	5	4	0	10-4	19
3.პსჟ	9	5	3	1	20-7	18
4.ლილი	9	4	3	2	12-10	15
5.ბრესტი	9	4	3	2	9-8	15
6.რეიმსი	9	4	2	3	15-12	14
7.ნანტი	9	4	2	3	16-15	14
8.მონპელიე	9	3	3	3	16-13	12
9.მარსელი	9	3	3	3	12-12	12
10.რენი	9	2	5	2	15-12	11
11.ტულუზა	9	2	5	2	11-10	11
12.ლე ავრი	9	2	4	3	10-12	10
13.ლორიანი	9	2	4	3	15-19	10
14.სტრასბური	9	3	1	5	8-14	10
15.ლანსი	9	2	3	4	8-13	9
16.მეცი	9	2	2	5	8-16	8
17.კლერმონი	9	1	2	6	9-17	5
18.ლიონი	9	0	3	6	7-18	3

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

უტრეხტი-აიაქსი 4:3
ექსელსიორი-ზვოლე 2:4
ერაკლესი-ტვენტე 2:2
იგლზი-სპარტა 0:0

ბელგია. ა დივიზიონი

გენკი-მეხელენი 4:0
სერკლი-გენტი 2:0
სტანდარდი-ანდერლეხტი 3:2
ლეუვენი-სტ.ტრუიდენი 4:0

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-ქაშიმფაშა 0:1
ისთანბული-ანკარაგიუჯიუ 2:1
სამსუნი-ბაშაქშეჰირი 0:0
ფენერბახჩე-ჰატაი 4:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ტიროლი-აუსტრია 0:2
ალტახი-ვოლფსბერგერი 0:0
რაპიდი-კლაგენფურტი 2:3

შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰარტსი-სელტიკი 1:4

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-ორხუსი 0:2
ვიბორგი-ნორდსიელანდი 0:2
რანდერსი-ბრონდბიუ 2:2

შვედეთი. ალსვენსკა

ჰალმშტადი-მიალბი 1:1
დიურგარდენი-ჰამარბი 0:0
მალმიო-ვარბერგი 5:0
ჰაკენი-ნორჩიოპინგი 4:1

ნორვეგია. ელიტსერია

ლილესტრიომი-ვალერენგა 2:0
ალესუნდი-სარპსბორგი 3:2
რუსენბორგი-სტაბეკი 1:1
სტრომგოდსეტი-ოდი 3:1
ჰამკამი-ჰაუგესუნდი 0:3
ვიკინგი-ტრომსო 3:4

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 2. იტალიელი მოდელიერი; 3. რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვა-კამათი; 4. საქარგავი ფერადი ძაფი; 5. დიდი ბუ; 8. ცეკვაში სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე; 9. ჩინური ფაიფური; 12. გეომეტრიული ფიგურა; 13. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 16. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 17. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 19. „ფორმულა-1"-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი.

თარაზულად: 6. გაეროს გენერალური მდივანი; 7. პოლიციელის სახელწოდება ძველად გერმანიაში; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 15. განცალკევებული ოთახი ახლადდაქორწინებული ნეფე-დედოფლისათვის ძველად; 18. აეროპორტი ნიუ იორკში; 21. სპეციალური საიდუმლო დავალებით გაგზავნილი პირი; 22. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 24. ლეონკავალოს ოპერა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხუცური; 2. კოხი; 3. შერმადინი; 4. მეგრე; 5. ლიგნიტი; 8. როდენი; 9. ანთოლოგია; 12. სამუში; 14. ქარნბი; 16. ელისო.

თარაზულად: 1. ხვანჭკარა; 6. გემრიელი; 7. ციურიხი; 9. ერემჯი; 10. გეთი; 11. მესხეთი; 13. პაქტი; 15. ტაბიძე; 17. სინჯარა; 18. ბუგატი; 19. ტაიბეი; 20. მორავია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სპეკალი; 2. ამსტელი; 3. შიფონერი; 4. ლოპესი; 5. კარმენი; 8. ჩაპლინი; 9. ხოჭოლავა; 12. ბარტოლდი; 13. გურზუფი; 16. ბერიკები; 17. ლაკმუსი; 19. ლაზარე; 20. მოხელე.

თარაზულად: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ჩხოუში; 10. კანბერა; 11. იედო; 14. ილუზიონი; 15. ბრასკუბა; 18. კესონი; 21. ალფესკო; 22. შოლცი; 23. ერზაცი; 24. ფილისტერი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

24 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6971

ევრო — 2.8595

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2789

100 რუსული რუბლი — 2.8464

ამინდის პროგნოზი 24 ოქტომბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავი: „ატლეტიკთან ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა თქვა, რომ მისმა გუნდმა ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოიგო ატლეტიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბარსელონას ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს:

– ატლეტიკის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა. მიხარია, რომ მოვიგეთ და წინ მნიშვნელოვანი მატჩები გველის.

ჯეიდენ სანჩო მანჩესტერ იუნაიტედს დატოვებს

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდი ჯეიდენ სანჩო დიდი ალბათობით იანვარში გუნდს დატოვებს, რადგან მას კონფლიქტი აქვს ერიკ ტენ ჰაგთან და ამის გამო ის პირველ გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს.

სანჩომ აღიარა, რომ მას სხვა გუნდში თამაში სურს და ეს გუნდი შესაძლოა ბარსელონა იყოს, რომელიც იანვარში კიდევ ერთი ფორვარდის დამატებას შეეცდება. სანჩოს მიმართ ინტერესს კატალონიური გუნდი ადრეც გამოხატავდა.

რუდი გარსია: „ნაპოლის ჯერ თავისი საუკეთესო თამაში არ უჩვენებია“

ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა რუდი გარსიამ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ ჯერ თავიანთი საუკეთესო თამაში არ უჩვენებიათ და გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. გარსიას აზრით, ნაპოლის შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა:

– სეზონის სტარტი იდეალური არ იყო, მაგრამ ჩვენ ბოლო მატჩებში პროგრესი გვაქვს და მჯერა, რომ მხოლოდ უკეთესები გავხდებით. სეზონის დიდი ნაწილი წინ არის და ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნანა შარიქაძე: „4-წლიანი პასუხისმგებლობა დასრულდა“

აცხადებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი ნანა შარიქაძე და ამ თანამდებობას უდიდეს პასუხისმგებლობად მიიჩნევს:

– დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, იყო ქვეყნის ერთადერთი კონსერვატორიის რექტორი, უმაღლესი სასწავლებლის, რომელსაც უდიდესო ტრადიციები გააჩნია. 4-წლიანი პასუხისმგებლობა დასრულდა – პერიოდი სავსე გამოწვევებით, არაპროგნოზირებადი სირთულეებით, განსაკუთრებით პანდემიის ჟამს, მაგრამ ასევე წარმატებებით და, რაც მთავარია, სიახლეებით, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესს აჯანსაღებდა, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოდ გარდაქმნიდა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან აახლოებდა.

ჩემს გუნდთან ერთად – გუნდი იყო ყველა ის ადამიანი კონსერვატორიის შიგნით და გარეთ, ვინც გაუმჯობესების გზაზე, მიზნების მიღწევაში ველს გვიწყობდა – მარტო ბოლო 4 წელიწადში ბევრი უმნიშვნელოვანესი საქმე გავაკეთეთ. განსაკუთრებით ვიამაყებ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების მიზნით სასწავლო გეგმაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი და ძირეული ცვლილებებით, საერთაშორისო აკრედიტაციისთვის სავალული პაკეტის მომზადებით და მსოფლიო ბანკის გრანტით, საორკესტრო და კამერული მუსიკის სწავლების რეფორმით (ამაზე საუბარიც კი მეუხერხულება), ინტეგრირებული სწავლების მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯით, საბჭოთა სასწავლო გეგმიდან შემორჩენილი ნარჩენების უარყოფით, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ფანტასტიკური კავშირებით და უკლებლივ ყველა პროექტით; განსაკუთრებით ვიამაყებ კომფორტის ზონის დარღვევით, რაც ძველსა და ახალს შორის ბრძოლაში განვითარებისკენ მტკივნეული ნაბიჯების გადადგმას გულისხმობდა, ვიამაყებ ახალგაზრდა კადრების უპრეცედენტო შემოდინებით კონსერვატორიაში და მათი სასწავლო პროცესში ჩაბმით; ასევე ვიამაყებ ჩვენი სახელგანთქმული არტისტების სასწავლო პროცესში დატვირთვით; მეტიც, ხარისხის კულტურის დამკვიდრებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმით და სხვა მრავალით...

განსაკუთრებით ვიამაყებ კონსერვატორიის როიალების პრობლემის წამოჭრით, მაშინ ჯერ კიდევ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში ვიყავით, რომლის გადაჭრის იმედი არავის ჰქონდა ჩემ გარდა.

ასევე ვიამაყებ იმ 3 ახალი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამით – საკონცერტმაისტერო, სიმფონიური დირიჟორობა, ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა – რომლებიც კულტურის სამინისტრომ და მის მიერ შექმნილმა ჯგუფმა დაბლოკეს.

ვთვლი, რომ სახელმწიფო, რომელიც განებივრებული არ არის ადამიანური რესურსით, ისეთ ადამიანებს, რომელთაც იდეა, საქმის ცოდნა და უანგარობა აქვთ, უნდა უფრთხილდებოდეს, რადგან ეს თვისებები კონვერტირდება სიყვარულში, იდეისადმი და საქმისადმი ერთგულებაში (არა პიროვნებისადმი მორჩილებაში) და კრიზისის შესაძლებლობად გარდაქმნაში.

არ მახსენდება, ბოლოს როდის ვმუშაობდით მშვიდ, კეთილგანწყობილ გარემოში, მაგრამ მახსენდება კულტურის სამინისტროში დახურულ კარს მიღმა შეხვედრა, რომლის მსგავსიც მხოლოდ არქივში მაქვს წაკითხული. მხედველობაში მაქვს 2023 წლის 11 აპრილი და მისი შემდგომი პერიოდი – ურთულესი პერსონალუ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მატილდა გვარლიანი ვივიენ ვესტვუდის ჩვენებაზე გამოვიდა

ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მსოფლიოში ცნობილი ინგლისელი დიზაინერის ვივიენ ვესტვუდის უახლესი კოლექციის ჩვენებაზე გამოვიდა.

ბრენდის მესვეურებმა მოდის მოყვარულ საზოგადოებას გაზაფხული-ზაფხული 2024-ის სამოსი შესთავაზეს.

მატილდამ პოდიუმზე ცნობილ მოდელებთან ერთად გაიარა. ქართველი ლამაზმანი დიდი ხანია მსოფლიო მოდის სამყაროში ერთ-ერთი მოთხოვნადი მოდელია.

ნატო მურვანიძე: „მთავარია არ შეგვეშინდეს“

თეატრისა და კინოს მსახიობი ნატო მურვანიძე ეხმაურება ინიციატივას, რომელიც საზოგადოებაში ძუძუს კიბოს შესახებ მეტი ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობს. ოქტომბერი ძუძუს კიბოს ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო თვეა.

– მთავარია არ შეგვეშინდეს. მთავარია შიშით გამოწვეული დახუჭული თვალები გავახილოთ. ჩვენს თავზე თუ არ ვზრუნავთ, ვიზრუნოთ ჩვენს საყვარელ ადამიანებზე, რომ მათ გარანტირებული სიმშვიდე მოვგვაროთ. ძუძუს კიბო არაა საშიში თუ მას ადრეულ სტადიაზე გამოვავლენთ. უნდა გადავლახოთ დაგვიანებული შედეგის შიში, რაც ასე გამჯდარია ჩვენს ქვეცნობიერში თუ ცნობიერში. ყოველწლიური სკრინინგით და მამოლოგთან ვიზიტით ჩვენ ამას ავიცილებთ. ყველა ასაკის ქალებო, არ შეგეშინდეთ, არ შეგვეშინდეს. ძალიან ბევრი პასუხისმგებლობის გამო, რომელიც ვიტვირთეთ, ჩვენი თავი ბოლო ადგილზე გავწიეთ. ნაკისრ პასუხისმგებლობას კი ჯანმრთელები ვჭირდებით. არ შეგეშინდეთ. არ შეგვეშინდეს. არ დაგვეზაროს, არ გადავიფიქროთ, არ გადავავადოთ.

ნიკო ფიროსმანს სპექტაკლი მიეძღვნა

გენიალურ ქართველ მხატვარს ნიკო ფიროსმანს თოჯინური სპექტაკლი მიეძღვნა.

„ფიროსმანი“ – ასე ჰქვია წარმოდგენას, რომელსაც მაყურებელს მოხეტიალე მთვარის თეატრი სთავაზობს. ეს არის მორიგი თოჯინური სპექტაკლი ლეგენდარული ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის სხვენში 27 ოქტომბერს იქნება წარმოდგენილი.

„ადამიანი იბადება, ცხოვრობს და კვდება და რა რჩება მისგან? ვიღაც იტყვის, რომ არც არაფერი... ნიკალა კი...“ – ასეთია სპექტაკლის სინოფსისი. პიესის ავტორი, მუსიკალური გამფორმებელი და რეჟისორი ნიკა ლუარსაბიშვილია, სცენოგრაფია და თოჯინები ნინო კიტია და ირინე ყველიაშვილი არიან, ახმოვანებენ არქივარიუსი – ლევან წულაძე, მეეზოვე – გია კიტია, ნიკო ფიროსმანი – არჩილ სულაქველიძე, პატარა ნიკო – ნიკოლოზ ღუღუნიშვილი, ნიკო ფიროსმანის დედა – მარი კიტია, ელისაბედი – ნანიშა მეტრეველი, ლადო – ალექსანდრე კვეზერელი, დიმიტრა – ნიკა ლუარსაბიშვილი, მარგარიტა – მარიამ გულაშვილი, ქალანთაროვები, რკინიგზის და კაფე შანტანის დირექტორი – ჯეჯი სხირტლაძე.

სპექტაკლზე იმუშავეს მეთოჯინეებმა ლევან ბაიდაურმა, გიორგი თოთაძემ, ალექსანდრე კვეზერელმა, ნინი კოტაშვილმა, ნიკა მჭედლიშვილმა, ნანიშა მეტრეველმა, ლუკა ჭულუხაძემ და ლელა ხაჩატუროვმა.

ქართული პოლიფონიის უნიკალური ჩანაწერები გაციფრულდა

ქართული პოლიფონიის XX საუკუნის უნიკალურ ჩანაწერებს საფრთხე აღარ ემუქრება. მიზეზი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და თბილისის კონსერვატორიის წარმატებული თანამშრომლობაა:

აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ფონდის დაფინანსებითა და სმითსონის ინსტიტუტის მხარდაჭერით, ქართული პოლიფონიის უიშვიათესი, 200-ზე მეტი საათის ჩანაწერები გაციფრულდა.

– რაც მთავარია, გაციფრულებისთვის საჭირო ტექნოლოგია და ცოდნა კონსერვატორიაში ჩვენს პარტნიორებს გადაეცათ, რაც საშუალებას მისცემს მათ, რომ საქართველოს მემკვიდრეობის შენარჩუნების ეს უმნიშვნელოვანესი საქმე გააგრძელონ, – ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში. გაციფრულებული მრავალხმოვანი მუსიკის ჩანაწერების წარდგინებას ამერიკის ელჩი საქართველოში რობინ დანიგანი დაესწრო, რომელმაც აუდიო ჩანაწერებთან ერთად ანსამბლ „ადილეის“ ცოცხალი შესრულებაც მოისმინა.

მიხეილ კალატოზიშვილის 120 წლის იუბილე კინოჩვენებით აღინიშნება

რეჟისორ მიხეილ კალატოზიშვილის 120 წლის იუბილე ქუთაისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე აღინიშნება. 24 ოქტომბერს ფესტივალის ფარგლებში რეჟისორის ფილმს „ჯიმ შვანთე“ – „მარილი სვანეთს“ კინოთეატრ „საქართველოში“ აჩვენებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თაია ბოლგაშვილმა თურქეთში პირველი პრემია მოიპოვა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლემ თაია ბოლგაშვილმა თურქეთის საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია და ლაურეატის წოდება მოიპოვა.

კონკურსში სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტები მონაწილეობდნენ. ქართველი მუსიკოსის შესრულება საერთაშორისო ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია და მას გამარჯვებულის ტიტული მიანიჭა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. კომბინაცია პოკერში; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 5. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში მზარდი ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 8. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 9. უზადო ბრილიანტი; 12. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი.

თარაზულად: 1. მთიანეთი ავღანეთში; 6. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებული ქართველი მხატვარი; 7. ძველი ქართული დამწერლობა; 9. ბულგარეთის ძველი დედაქალაქი; 10. კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 11. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 13. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამთავროს ნაწილი; 17. მუსლიმანთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 18. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 19. ნაკურთხი წყალი; 20. ოსტატის მოწაფე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა